

# პიონერი

10

1971

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო
ა. სარიშვილისა

მაღლწვერვალს, წლის თავსა
გიყვავდეთ ვაზის რქითამცა,
მოყვეთე ღმერთმა გიმრავლოთ,
მოყვარე მრავალ ძმითამცა,
მტერი და ღვინო ულევა,
ვით მომდინარე წყლითამცა,
ისე დასცქერით ამ ქვეყანას,
ვით თაფლი ფუტკრის
სკითამცა.

11585

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური
საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
1 · იანვარი · 1971
გამოცემის 45-ე წელი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

50

# საბჭოთა სამხრეთ ოსეთი

**პაველ თედეევი**

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

*ყმაწვილებო ოსეთისა, თქვენ ძმები ხართ მხსნელი!*
*დღეს ერთმანეთს გავუწოდოთ მეგობრული ხელი.*
*ზე ავწიოთ ჩვენი დროშა, ჩვენი ხალხის დროშა,*
*შევკავშირდეთ, შევეტაკოთ ბნელ-უკუღმართ დროსა*
*ჩვენ სიმართლის სიყვარულით წინ ვიაროთ მარად,*
*გამოფხიზლდი უმოქმედოვ, მხდალო, გაქრი ჩქარა.*

ოსი ხალხის სასიქადულო შვილის, დიდი კოსტა ხეთაგუროვის ეს მოწოდება პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე ჭექა-ქუხილივით მოედო ოსეთის მთა-ველს. ახალგაზრდობა აღსდგა ბორკილების დასაწყვეტად. კოსტას ნათქვამი მათ წმინდა კელეპტარივით უნათებდათ გზას რევოლუციის ქარცეცხლიან დღეებში. რუს და ქართველ ახალგაზრდობასთან ხელიხელჩაკიდებული ოსეთის ახალგაზრდობა გააფთრებით ებრძოდა ხალხის მტრებს, რომ ახალი ცხოვრების ნერგი გახარებულიყო. ,,ზე აწეული დროშით" მიდიოდა ოსეთის ყმაწვილკაცობა რევოლუციის გრიგალებში, მერე ებრძოდა მენშევიკებს, კულაკებს, თავდადებით იღვწოდა პირველი ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად, გაყამირებული მიწების გასატეხად, არხების გასაყვანად, ხეხილის ჩასაყრელად, ქვეყნად ბარაქის შესაქმნელად. და როცა თავს დაგვეცა ფაშისტური გერმანია, დიდი საბრძოლო ტრადიციების მქონე ოსეთის ახალგაზრდობა უშიშრად ეკვეთა მტერს. სამშობლოსათვის თავდადებულთა სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერა დიდი სამამულო ომის ისტორიაში. ხოლო ოსეთის კომკავშირისა და პიონერიის აღზრდილები ვასილ ჩოჩიევი, კონსტანტინე კოჩიევი, ივანე ცხოვრებოვი, სერგო კობლოვი, გიორგი ბერუაშვილი და სხვები სამაგალითო გმირობისა და მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ. მათ სახელებს დღეს სიამაყით ატარებენ ჩვენი პიონერული ორგანიზაციები.

კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვით გარემოსილ ოსეთის ახალგაზრდობას ყველა პირობა აქვს შექმნილი, რომ დაეუფლოს მეცნიერების მწვერვალებს, იყოს სწავლისა და შრომის წინა ხაზზე. ჩვენ ჭეშმარიტად შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს, რომელიც აგრძელებს მამა-პაპათა სახელოვან ტრადიციებს და მიისწრაფვის წინ, სულ წინ, ახალი ზღუდეების დასაპყრობად; ისწრაფვის ქვეყნად მშვიდობისათვის, ბედნიერებისათვის; რომ მანაც შესანიშნავი ესტაფეტა გადასცეს მომავალ თაობებს.

დღეს, როცა ჩვენი მზიური რესპუბლიკა თავისი საბჭოური ცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის ემზადება, ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ამაყად უდგანან მხარში ოსეთის ჭაბუკები და ქალიშვილები. ერთსულოვანი შრომით შექმნილი დოვლათი დახვავებულა ბაღებსა და ზვრებში, პლანტაციებში, ფაბრიკა-ქარხნებში... ოსეთის მრეწველობისა და სოფლის ახალგაზრდობამ უკვე უპატაკა სამშობლოს მიმდინარე ხუთწლედის გეგმების შესრულება. როცა შევყურებთ დღევანდელი ახალგაზრდობის სხივფენილ სახეებს, გვაგონდება მათი მამა-პაპათა დუხჭირი ცხოვრება.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე სამხრეთ ოსეთი



ცხინვალის კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრები ასრულებენ ცეკვა ,,სიმდს".



ხალისით უსმენენ პიონერები ჯავის რაიონის მკვიდრს, ასი წლის მოხუცს ხ. ძუგაევს.

მეფის რუსეთის ერთი ღატაკი კუთხე იყო.

ძალზე ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობა, არ იყო სამრეწველო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, გამოყენება არ ჰქონდა წიაღისეულ სიმდიდრეებს. ოსები მოკლებული იყვნენ დედაენაზე სწავლისა და ეროვნული კულტურის განვითარების უფლებას. ახლა კი სამხრეთ ოსეთში მრავალი მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტია. შორსაა განთქმული ქვაისისა და „საქტალკის" წნელისის საწარმოს მაღაროელთა სახელი. ოსეთის მთებიდან ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოს ეგზავნება ტალკი, ტყვია და თუთია.

გაიზარდა ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი ცხინვალი. აქ აშენდა მომინანქრებული სადენებისა და ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნები, რომელთა სახელიც რესპუბლიკის საზღვრებს გასცდა. ვიბრომანქანების ქარხანა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აწვდის თავის პროდუქციას. ოსეთის კომკავშირი და პიონერია კანონიერად ამაყობენ, რომ ამ ქარხნების ბედი მთლიანად მათ აღზრდილ შვილებს აბარია.

ჩვენს ოლქში მრეწველობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო კულტურული ცხოვრების ტემპის დაჩქარებას. თუ ადრე ოლქში წერა-კითხვის მცოდნე საქებარი იყო, ახლა აქ ასობით დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლაა, სადაც კვალიფიციური პედაგოგები მოღვაწეობენ, ზრდიან ახალგაზრდა თაობას კომუნისტური სულისკვეთებით. გვაქვს სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, სამხატვრო სასწავლებლები; სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ახალგაზრდა კადრების სამჭედლოა. სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშიც ადგილობრივი მეცნიერული კადრები მუშაობენ. აქ მოღვაწეობენ ორი მეცნიერებათა დოქტორი და ათობით მეცნიერებათა კანდიდატები.

ოსმა მეცნიერმუშაკებმა ბევრი ფუნდამენტური შრომა შექმნეს ეკონომიკის, ფილოსოფიის, ოსური ლიტერატურისა და კულტურის, ენათმეცნიერების, ისტორიის და სხვა დარგებში. დიდი წარმატებები მოიპოვეს ოსეთის კომკავშირის აღზრდილებმა — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა სოსლან გაბარაევმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ნაფი ჯუსოევმა, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატებმა: იური გაგლოევმა, ბაგრატ ტეხოვმა, ივანე ცხოვრებოვმა, ბაგრატ ფლიევმა და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, მათი ესთეტიკურ-მხატვრული გემოვნების ამაღლებას და ამ საქმეში დიდ ამოცანებს აკისრებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

სამხრეთ ოსეთის პარტიულმა ორგანიზაციამ, კომკავშირთან ერთად, შეძლო ჩვენს ოლქში კულტურულ-საგანმანათლებლო კერების ფართო ქსელის შექმნა. ამჟამად 177 ბიბლიოთეკა გვაქვს, ამ ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი მილიონ ტომს შეადგენს. ოლქის მშრომელებს



ქალაქ ცხინვალის ერთ-ერთი კუთხე.

ემსახურება 72 სასოფლო კლუბი, 9 კულტურის სახლი, სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი", კოსტა ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრი, კინოთეატრები, ათობით თვითმოქმედი კოლექტივი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მთელი სისრულით გაიშალა ოსი ხალხის ნიჭი და შესაძლებლობა.

ჩვენმა ოლქმა მთავრობის ყველაზე მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი რომ მიიღო, ეს ბრწყინვალე



ერედვის მერძევეობა-მეგოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში ყოველ წელს უხვად მოჰყავთ შაქრის ჭარხალი.

დადასტურებაა იმ მიღწევებისა, რაც სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მოვიპოვეთ.

იმ მრავალრიცხოვან სიკეთეთა შორის, რაც ოს ხალხს საბჭოთა წყობილებამ მოუტანა, ერთ-ერთია ოსური საბჭოთა ლიტერატურა.

ოსური საბჭოთა ლიტერატურა ბედნიერ ისტორიულ პერიოდში იშვა. მას შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში გიგანტური ცვლილებები მოხდა, რაც ნათლად და თანმიმდევრობით აისახა ოსურ ლიტერატურაში, რომლის ცხო-

ველმყოფელი ძალა რეალიზმია, უმაღლესი ნიშანი — პარტიულობა, თვისება — ადამიანური პრინციპების დაცვა. ოსურ მხატვრულ ლიტერატურაში საპატიო ადგილი დაიკავა ლენინის, ოქტომბრის და პარტიის თემამ. ოს მწერლებს მჭიდრო შემოქმედებითი მეგობრული კავშირი აქვთ ქართველ მწერლებთან. ამ მეგობრობას საფუძველი ადრიდანვე ჩაეყარა. ცნობილია, თუ რა დიდ პატივს სცემდა კ. ხეთაგუროვი სახელოვან ქართველ მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს. კოსტამ შესანიშნავი პოეტური სტრიქონები უძღვნა მას. კოსტას შემოქმედებით დაინტერესდა კომპოზიტორი დ. არაყიშვილი და პირველი რომანსები დაწერა კოსტას ტექსტებზე. ამ რომანსების შემსრულებელი კი საქართველოს ბულბული ვანო სარაჯიშვილი გახლდათ. კოსტა იყო დიდი ქომაგი და მოსარჩლე ალექსანდრე ყაზბეგისა. ისიც ცნობილია, ქართველმა საზოგადოებამ თუ როგორი გულისტკივილით დაიტირა დიდი კოსტა.

წინაპართა შესანიშნავი ტრადიციები გრძელდება. ამ მეგობრობის დიდი ნაყოფია ის, რომ ახლა ოსი მშობლიურ ენაზე კითხულობს შოთა რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, ლეო ქიაჩელს, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს. ქართველები კი ეცნობიან კოსტა ხეთაგუროვის, გაფეზის, ძუგათის, დავით ჯიოევის და სხვათა ნაწარმოებებს. სულ ახლახან ქართულ ენაზე გამოვიდა ოსური პოეზიის ბიბლიოთეკა, სადაც 13 პოეტია წარმოდგენილი.

გ. ლეონიძეს ვუმადლით ჩვენ ოსი ხალხის ზეპირსიტყვიერების დიდი საუნჯის — ნართების გმირული ეპოსის ქართულად ამღერებას.

სიამოვნებით ვიგონებთ იმ ფაქტსაც, რომ ოსური პროზის დედაბოძი არსენ ქოცოევი თბილისში მოღვაწეობდა. აქ დააარსა მან 1910 წელს ოსური გაზეთი „აფსირ“ (თავთავი).

საბჭოთა ეპოქაში ძლიერ გაიზარდა ოსური დრამატურგია. ლიტერატურის ამ დარგში წარმატებები ჰქონდა მუხტარ შავლოხოვს. მისი კომედია „სასიძო“ 20 წელზე მეტია იდგმება ჩვენს თეატრში და დღესაც წარმატებით სარგებლობს. ეს პიესა ქართველმა მაყურებელმაც ნახა თბილისის მუსიკალური კომედიის სცენაზე.

ჩვენი ლიტერატურის მძლავრ არტერიას ახლა ახალგაზრდობა შეადგენს. ჩვენ ვამაყობთ ისეთი ახალგაზრდა პოეტებითა და პროზაიკოსებით, როგორებიც არიან: გიორგი ბესთაუთი (რომელიც ამთავრებს გენიალური შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ახალ თარგმანს), ჰაჯი-მურატ ძუწათი, ლეონიდე ხარებოვი, რიურიკ თედეევი და სხვები.

ჩვენი მწერლების რიგების ზრდას, ლიტერატურის წინსვლას დიდად უწყობს ხელს სამხრეთ ოსეთში საკუთარი პრესის, ბეჭდვითი ბაზის არსებობა.

საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების საკუთარი ორგანო, ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ფიდიუაგი“ და გამომცემლობა „ირისთონი“ ფრიად ეხმარებიან ახალგაზრდა ოს მწერლებს, ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე აქვეყნებენ მათს ნაწარმოებებს.

ადრე ჩამორჩენილი ოსური კულტურა დღეს არნახულ სიმაღლემდე ავიდა. ამას ადასტურებს ოსური თეატრალური ხელოვნების წინსვლაც.

ოსური თეატრი მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1905-1907 წლების რევოლუციის წინა დღეებში დაიბადა. ოსური თეატრის პირველ სპექტაკლებში რევოლუციური ახალგაზრდობა მონაწილეობდა.

ოსური პროფესიული თეატრის პირველ სპექტაკლებშიც, თეატრისა, რომელიც 1931 წელს შეიქმნა თბილისში მოქმედი სახალხო თეატრის ბაზაზე, ახალი იდეებით შთაგონებული ოსი ახალგაზრდობა გამოვიდა. დღესაც თეატრალურ ხელოვნებაში თავის ძლიერ სიტყვას ამბობს ოსეთის ახალგაზრდობა.

ოსური საბჭოთა ეროვნული მხატვრობის ფუძემდებელია მახარბეგ თუღანოვი. იგი იყო ახალგაზრდობის მომავლისათვის დაუცხრომელი მებრძოლთაგანი. მისი თაოსნობით 30-იანი წლების დასაწყისში ცხინვალში გაიხსნა სამხატვრო სტუდია. ახლა ჩვენ ვამაყობთ მისი აღზრდილებითა და მიმდევრებით. ესენი არიან: ფერმწერი ბორის სანაკოევი (საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), მხატვრები: გრიგოლ კოტაევი, გიორგი დოგუზოვი, სერგო მინასოვი, ახსარ გასიევი და სხვები. გრაფიკაში კარგი წარმატებები აქვთ ალექსანდრე ვანეევს, სოსლან ჯეირანოვს და ვიტალი ცხოვრებოვს, ქანდაკებაში — ვასილ ქოქოევსა და ვლადიმერ ქელეხსაევს.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული მუსიკალური ხელოვნების დარგშიც. მრავალი ნიჭიერი ოსი მუსიკოსი აღიზარდა ცხინვალის მუსიკალურ სკოლაში. ჩვენს ახალგაზრდობას მუსიკალური ნიჭის ფართოდ გამოვლინების საშუალება მიეცა ახლახან გახსნილ მუსიკალურ სასწავლებელში. მხცოვან კომპოზიტორს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ბორის გალაევს მხარში უდგანან და სამშობლოს მთაზარს, ოსი ხალხის შრომისმოყვარეობას, მეგობრობას გულში ჩამწვდომად უმღერიან ახალგაზრდა ოსი კომპოზიტორები: ილია გაბარაევი, ქრისტეფორე ფლიევი, დუდარ ხახანოვი, ფელიქს ალბოროვი და სხვები.

ამჟამად ოსეთის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ლიტერატურა და ხელოვნება გრანდიოზული ნაბიჯებით მიდის წინ. მრავალ ბრძოლებში ნაწრთობი ოსი კომუნისტების მეთაურობით, ლენინის დროშით გაბედულად მიაბიჯებენ ოსეთის მშრომელები ახალი მწვერვალების დასაპყრობად.



# ქსუისელთა ბარაქიანი შემოდგომა

**მალე პიონერთა ხელით მოწეული მოსავალი საერთო დოვლათს შეემატება.**

რა მხარესაც არ უნდა გაიხედო ახლა, გარდა ჩრდილოეთისა, სადაც თეთრად გადაპენტილი კავკასიონის მთები ყელყელაობენ, ყველგან ბაღებია...

— ქსუისისკენ გაგიწევიათ? აი, ამ ბაღებს გადაივლით, მერე კიდევ ბაღებია, ხოლო ბაღებს იქით კი — ქსუისი... — ასეც მიგვასწავლეს ცნობისმოყვარე ოსებმა ერთ-ერთი პატარა, ლამაზი სოფელთაგანი.

## 1. ბაღებს იქით—ქსუისი...

არცთუ დიდი ხნის წინათ აქ მოტიტვლებული მინდორი იყო. შემოდგომა-ზამთრობით ყურისწამღებად ზუზუნებდა და ქსუოდა ქარი. ალბათ ამიტომაც დაერქვა დისეევის მთასა და ხელისგულივით გადაშლილი ველების გასაყართან მიყუჟულ სოფელს სახელად ქსუისი.

მაგრამ რა არ შეუძლია კაცის მარჯვენას. გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანებმა წლების განმავლობაში შრომისა და ოფლის ფასად ბაღნარად აქციეს მთელი სოფლის არემარე.

## 2. თლაგ ბაფსნაითოი*

ქსუისის საშუალო სკოლა სოფლიდან ცოტა მოშორებით დგას. აქ, ქსუისელების გარდა, სათიხარის, დმენისის, ზემო ქერეს, კორკულასა და სხვა სოფლების 550-მდე ბავშვი სწავლობს. საშუალო სკოლაში მთავარი ძალა პიონერები არიან. მათს სასახელო საქმეებზე ვისაც არ უნდა ჰკითხოთ აქ, ყველა დიდი ხალისით გაგესაუბრებათ.

სკოლის დირექტორს იური ალბოროვს სიამაყის გრძნობა დაეუფლა მათი მოსწავლეების საქმიანობაზე რომ ჩამოვუგდეთ სიტყვა. იურიმ ნაყოფით დახუნძლულ ხეხილის ბაღებს, ჯერ კიდევ დაუბინავებელი სიმინდისა და ჭარხლის ნათესებით აჭრელებულ მინდვრებს გადახედა და დაფიქრებულმა გვითხრა:

— უცხო კაცი ვერც წარმოიდგენს ალბათ, რარიგ იცვალა სახე აქაურობამ, რამდენი ძირი ვაშლის ნერგი ჩაიყარა, რამდენი ჰექტარი ახალი მიწა გადაიხნა ამ ბოლო წლებში... სოფ-

* ოსურად — მოსავლის აღება.

ლის გარდაქმნაში თავისი წვლილი ჩვენს მოსწავლეებსაც მიუძღვით. სოფელში არცერთი საქმე არ გაკეთებულა, მათ რომ არ მიეღოთ მონაწილეობა. ჩვენი პიონერები უფროსების მხარდამხარ მუშაობდნენ ჭარხლისა თუ კარტოფილის თოხნა-მოყვანა-ამოღება-დაბინავებაზე, თივისა თუ კენკროვანთა დამზადებაზე, სიმინდის მოტეხვასა და ვაშლის კრეფაზე.

დირექტორმა მაგიდის უჯრიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, გადაშალა და საუბარი განაგრძო:

— აი, ჩვენი საშუალო სკოლის კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიერ დამოწმებული ზუსტი ცნობები: სულ, მთელი სკოლის ორასამდე პიონერი სამ ბრიგადად იყო დაყოფილი. ისინი მიმაგრებული იყვნენ სხვადასხვა სოფლებზე და იქაურ კოლმეურნეებს ეხმარებოდნენ მოსავლის აღებაში. ბრიგადები დაკომპლექტებული იყო სამუშაოს ხასიათის მიხედვით. შედარებით მძიმე სამუშაოებზე, მაგალითად, თიბვაზე, ძირითადად ბიჭები იყვნენ დასაქმებულნი.

პირველი ბრიგადა სოფელ დმენისის მინდვრებში მუშაობდა. ახალგაზრდებს სკოლის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ეთერ ლოლოევა ხელმძღვანელობდა. მოსწავლეებმა ერთ ჰექტარზე ამოიღეს ჭარხალი, ოთხ ჰექტარზე მოტეხეს სიმინდი, მოთიბეს და დააბულულეს ათობით ჯაურა თივა...

იქაური კოლმეურნეები განსაკუთრებით ემადლიერებოდნენ მეშვიდე კლასის მოსწავლე სვეტა გაბარაევას, მეექვსეკლასელებს — ვიტალი გოგოლაევს, რიმა ლოლოევას და მეხუთეკლასელ ზაირა თომაევას. მე, ჩემი მხრივ, მინდა აღვნიშნო, რომ ეს ბავშვები სწავლაშიც გამორჩეულნი არიან.

მეორე ბრიგადა საქმიანობდა სოფელ ხელჩვაში. ამ ბრიგადას მეექვსეკლასელი ფრიადოსანი მოსწავლე ედუარდ ქუმარიტოვი ხელმძღვანელობდა. ედუარდის ბრიგადამ მართლაც რომ თავი ისახელა. მათ 168 ჯაურა თივა დაამზადეს. ჯაურას ჩვენთან თივის ზვინს ეძახიან. ერთი ჯაურა დაახლოებით — 150-მდე კილოგრამს მაინც იწონის. სამ ჰექტარზე მოტეხეს სიმინდი და ერთ ჰექტარზე ამოიღეს კარტოფილი. ამოიღეს და ჩააბარეს კიდეც მისაღებ პუნქტს.

ედუარდის ბრიგადაში თავი ისახელეს მეხუთეკლასელებმა: მისურათ ხუგაევმა, თინა კუდუხოვამ, მეექვსეკლასელმა ფრიადოსნებმა — იულია ხუგაევამ, ლუსია გობოზოვამ, ნაირა ვალიევამ...



სიმინდის ყანას შესევიან მოსწავლეები.

მესამე ბრიგადა ძირითადად ქსუისსა და სათიხარში მოქმედებდა. ბრიგადის სული და გული, როგორც ამას თვით კოლმეურნეები აღნიშნავდნენ, მეშვიდეკლასელი მოწინავე პიონერი ვალერი ვაზაგოვი იყო. ვალერიმ, სხვებისაგან განსხვავებით, თავისი ბრიგადა რგოლებად დაყო, თითოეულ რგოლს თავისი ნაკვეთი მიუჩინა. ხანდახან კი, როცა რომელიმე უბანზე მუშახელის ნაკლებობა შეიმჩნეოდა, თავის ხალხს იქით გადაისროდა ხოლმე. ვალერის „ექსპერიმენტმა" მართლაც რომ გაამართლა იმედი. მთავარი მაინც ის იყო, რომ ცალკეულ რგოლებს შორის ამხანაგური შეჯიბრება ჩაღდებოდა. გამარჯვებული ის იყო, ვისაც ვაშლის, ჭარხლის ან სიმინდის ყველაზე დიდი ხორა ეყენა, ხოლო საბოლოოდ კი — ის, ვისაც მოწეული მოსავალიც მეტს აიწონიდა.

პირველობა მეხუთეკლასელ ეველინა მამიტოვას რგოლელებმა დაისაკუთრეს. მათ დიდად არ ჩამორჩნენ მეშვიდეკლასელ ვალერიან ხუბაევის, მეექვსეკლასელ მახარე დონგუზოვისა და მეხუთეკლასელების — ზაურ ვაზაგოვის, ტანია სლანოვას რგოლები... საბოლოოდ მამაც მოსწავლეთა „ნადავლი" ორ ჰექტარზე ამოღებული ჭარხალი და ხუთ ჰექტარზე მოტეხილი სიმინდი აღმოჩნდა. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ რამდენიმე ჯაურა თივა, მინდორში თვალის საამებლად რომ აღმართეს და დაზვინეს მოსწავლეებმა...

კოლმეურნეობის დავთარში კი აღინიშნა: ვალერი ვაზაგოვის ბრიგადა ფრიადოსანია საკოლმეურნეო შრომაში...

## ვ. ნახი ხვემე ქვესთ*

მოსწავლეთა მუყაითობა, მათი შრომითი მიღწევები ყველაზე მკაფიოდ მაინც სასკოლო ნაკვეთზე გამოჩნდება ხოლმე. აქ ხომ ყოველი ხე, ყოველი ვაზი, თითოეული ძირი ჭარხალი და სიმინდი მათი ხელით ჩაყრილი, გათოხნილი თუ შეწამლული, მორწყული და მოწეულია. სწორედ სკოლის ნაკვეთზე შლის ახალგაზრდა მეურნეთა მთელი შრომითი ფანტაზია ფრთებს.

ქსუისელი ნორჩი მიჩურინელები ახლაც აქ არიან, საკუთარ ნაკვეთში, ბაღნარად რომ უქცევიათ მარჯვე და გამრჯე ხელებს.

— გაკვეთილების შემდეგ როგორ იქნება, რომ ნაკვეთს გვერდი აუარონ, — გვესაუბრება პიონერხელმძღვანელი ფარიზათ ბიბილოვა. — იშვიათად თუ გამოერევა დღე, მოსწავლეებმა თავიანთი მარშრუტი დაარღვიონ: სახლი — სკოლა — ნაკვეთი — სახლი. სასკოლო ნაკვეთში საქმიანობა ჩვენი მოსწავლეებისათვის ყოველდღიურ „გართობად" იქცა. გართობად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ იქ მომუშავე პიონერებისათვის დაღლილობა არასოდეს არ შემიმჩნევია. პირიქით, ყველას სახეზე კმაყოფილება, სიხარული და მეტი ხალისი გამოკრთის ხოლმე მუშაობის შემდეგ.

დღეს ნაკვეთში საშემოდგომო ფუსფუსი სუფევდა. მოსწავლეები თავგამოდებულნი ეზიდებოდნენ ვაშლით სავსე ყუთებს „ბაქნისაკენ". მალე კოლმეურნეობის მანქანა მოვიდოდა, მანამდე კი ეს ყუთები ერთ ადგილზე უნდა მიეზიდათ. ყველაზე მამაცი და უშიშარი ბიჭები ბელურებივით წამოსკუპებულიყვნენ ვაშლის კენწეროებზე. ტოტები სახეანთებული ნორჩებითა და კეხურას დაბრაწული ნაყოფით იყო დახუნძლული. ზოგსაც კიბე მიედგა და ისე კრეფდა.

კომკავშირელები ზერეტა ჯანიევა და ნელი შავარდენიძე, რომლებიც სკოლის საკარმიდამო ნაკვეთზე მოსწავლეთა საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ, პიონერთა მხარდამხარ საქმიანობდნენ, თან თვალყურს ადევნებდნენ კრეფას — არცერთი ნაყოფი არ უნდა დავარდეს მიწაზე; ვაშლსაც სათუთი მოპყრობა სჭირდება, თორემ მთელი წლის ნაამაგარი შეიძლება წყალში ჩაიყაროს. ნაყოფი ოდნავადაც რომ დაიჩეჩქვოს, შესანახავად და გასაგზავნად რაღას გამოდგება. ქსუისელ მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორი გრიგოლ ხუგაევიც აფრთხილებდა მოსწავლეებს, კრეფის წესები დაიცავითო.

— რამდენიმე წელია, რაც სკოლის ნაკვეთი ჩვენს განმგებლობაშია. მისი ფართობი 1 ჰექტარი და 200 კვადრატული მეტრია, — გვითხრა გრიგოლმა. — ჩვენმა ჩაყრილმა „კეხურას," „ბროცკის", „ანტონოვკის", „ცარსკოეს" ნერგებმა წლეულს პირველად გამოისხა ნაყოფი. აი, კაჭიჭებს ხომ ხედავთ, წლეულს იმ ნაკვეთზე სიმინდი გვეთესა. მოსწავლეებმა თვითონ დათესეს, გათოხნეს, სასუქიც თვითონ შეიტანეს, ორიოდე დღის წინათ კი მოჭრეს და მოტეხეს, მანქანები დატვირთეს და კოლმეურნეობის ბეღლისაკენ გააქროლეს. სამი ტონა სიმინდი ჩაიწერა დავთარში მოსწავლეთა სახელზე... დღეს კი, მგონი, ვაშლის კრეფასაც დავამთავრებთ. ვიმედოვნებთ, ორ ტონამდე მაინც გამოვა. აი, იმ ხორას ხომ ხედავთ, ის „ანტონოვკისაა", იქით კი — სანთლისფრად რომ ბრწყინავს — „ცარსკოეა". ხოლო სულ თავში — ქაშა ვაშლი ზიმზიმებს... ეს ჯიშები ზამთრის ჯიშებია. მოსწავლეებმა საგანგებოდ შეარჩიეს ისინი ჩვენი ბაღის მუდმივ მდგმურებად... ვაშლი ზამთარშია სანატრელი ხოლმე, თორემ შემოდგომაზე შესაძლოა გულიც არ მიგივიდეს, იმდენი ხილის შემყურესო... — თქვეს მოსწავლეებმა სანერგე ჯიშების შერჩევისას. ჩვენც რაღა გვეთქმოდა თანხმობის მეტი!

რომ შევაჯამოთ ჩვენს მიერ კოლმეურნეობისა და სასკოლო ნაკვეთებზე დაკრეფილი და ჩაბარებული ვაშლის მთელი მოსავალი, 223 ტონამდე მაინც გამოვა.

. . .

— ეჰეი, შენ ფრთხილად მანდა!.. ფეხი არ დაგიცდეს და ძირს არ მოადინო ზღართანი! — ასძახა კეწეწზე შემოსკუპებულ თენგიზ ლოლოევს მისმა თანაკლასელმა მარია გობოზოვამ, — ყველგან თავის გამოდება რომ გიყვარს, ჩემს საკრეფლათი ვერ შევწვდებოდი იმ ვაშლებსა?

— ერთხელაც „კოკა წყალს არ მოიტანს", მაგრამ უკვე გვიან იქნება! — მხარი აუბეს მარიას გოგოებმა.

— შენ რა ყოველთვის ენა გექავება, სჯობს საქმეს მიხედო მანდა! — ჩამოსძახა აჭარხლებულმა თენგიზმა მარიას და კიდევ უფრო მაღლა აიწია ტოტზე.

— ვალერიან, კაკალივით რომ ბერტყავ ვაშლსა, ფრთხილად ვერ აცოცდები? ძირს დაცვივდა ყველაფერი! — მიუთითა ტოტებზე ციყვივით გალურსულ მეშვიდეკლასელ ვალერიან ხუბაევს ნელი შავარდენიძემ. ზარეტა ჯანაევამ კი ხმამაღლა დაუთვალა ძირს ჩამოცვენილი ვაშლები, რომ ყველას გაეგო ვალერიანის „ნამოღვაწარი".

— ხუთი... ხუთი ცალი ერთ ხეზე! მართალია, ეს ბევრი არ არის, მაგრამ სასურველია, უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი. თითო ძირზე ხუთი ვაშლი, ეჰეი, სანამდე მიგვიყვანს...

მალე მანქანებმა გადმოსერეს მინდორი, და „ბაქანთან" გაჩერდნენ. პიონერებმა თავი ანებეს კრეფას, ვალერიანმა და თენგიზ ლოლოევმაც კი მიატოვეს თავიანთი კეწეწები. ბავშვები ჩარიგდნენ და მათი ნორჩი ხელები უწყვეტ ნაკადად გადასცემდნენ ერთმანეთს სურნელოვანი ნაყოფით სავსე ყუთებს... ერთი მანქანა... მეორე... მესამე...

ბავშვები არ იღლებოდნენ, გაცისკროვნებულ სახეებზე ხალისი და საქმის დიდი სიყვარული ეხატათ.

ღრუბლებიდან გამომკრთალი შემოდგომისეული მზე კი სანთლის შუქივით ადგა მათს მხიარულ სახეებს და მათივე გამრჯე ხელებით მოწეული კეხურასა და „ანტონოვკას" ნაყოფივით უფერადებდა ღაწვებს.

მ. სეტიელი.

ფოტო ავტორისა.

* ოსურად — მუშაობა ჩვენს ყანაში.

# მშობლიურ მთებს

### ალექსანდრე ფუხათი

* * *

ოსეთის მთებო, მთებო მამულის,
გაჩენის დღიდან სულ მზეს შესცქერით.
გახსოვთ კვეთება ათას სამუმის,
როცა გესხმოდნენ თავს გარეწრები.
გახსოვთ წარსული, ცრემლებით სავსე,
დრო შემოსილი გახსოვთ დიდებით, —
ბედნიერების ჰანგებიც თავზე
დაგფრთხიალებდნენ, როგორც ჩიტები.
რომ ამოიდგათ უეცრად ენა,
რომ სასწაული მოხდეს ასეთი, —
მე სიხარულით დავძაბავ სმენას,
არ გამომრჩება სიტყვა არცერთი.
ილაპარაკებთ დარბაისლურად,
მე წაგაქეზებთ და გაგამხნევებთ,
შევიტყობ ძველი ლეგენდებიდან
სამშობლოს გმირთა უცნობ სახელებს.
გარდაიქმნება სულში სიმღერად
მათი გმირობა და სიმამაცე,
კიდით-კიდემდე ხმა დაირხევა
და ლურჯ სივრცეებს შეაბარბაცებს...
ისინი ოსეთს იცავდნენ მკერდით
ერთად შეკრულნი უმტკიცეს ფიცად...
და... დღეს რომ აღდგნენ გმირები
მკვდრეთით,
ვეღარ დაიტევს მშობელი მიწა.
სულით არასდროს არ დაცემულან
ალან არწივთა ლაღი მართვენი.
მსოფლიო იყო გაოცებული
მათი სიმხნევით და შემართებით.
ბედნიერება! —
ჩემი მოძმენი
მისთვის ბრძოლაში ჰგავდნენ ტიტანებს.
ოსეთის მთებო, თქვენ ხართ მოწმენი
რა განსაცდელიც გადაიტანეს.
ჰქონდათ სიცოცხლე დაუძრახველი,
ბევრჯერ ანანეს მტერს გაურჩება...
სახეზე ასგან აჩნდათ ნახმლევი
და მაინც იდგნენ ციხე-ბურჯებად.
ოსეთის მთებო, თქვენ ყველაფერი
გახსოვთ და იცით, და მომიყევით
ყველა ლეგენდა, ზღაპარი, მითი,
რომ ცხადად ვიგრძნო — რანი ვიყავით.

თარგმნა ტ. ლომიძემ.



თოვლიანი მწვერვალები ჩამავალი მზის სხივებს აებრიალებინა. ცხვრის ფარა ქვევით, ბინისაკენ ეშვებოდა. ფარის უკან, მეწამულ მტვერში გახვეული, ნაბდიანი, შავულვაშა მწყემსი მოაბიჯებდა. ზურგზე გუდა მოეგდო, მხარზე კარაბინი გადაეკიდნა.

უეცრად, ბილიკზე ამომავალი ორი ბიჭუნა გამოჩნდა. მათ ენაგადმოგდებული ძაღლი მოჰყვებოდათ. შავგვრემანმა ბიჭუნამ — ეს ხაზბი იყო, ხმამაღლა დაიძახა:

— მამა! შეხედე, ვინ გვეწვია!

მწყემსი ცხვრის ჩამორეკვით იყო გართული, მაგრამ მაინც შეავლო თვალი ხაზბის გვერდით მდგარ უცნობ ბიჭს. მას მრგვალი პირისახე, ცისფერი თვალები და ოდნავ აპრეხილი ცხვირი ჰქონდა. ბიჭები ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ოღონდ ხაზბი უფრო ცქვიტი ჩანდა— დაფაცურდა, მამას ცხვრის ჩამორეკვაში მიეშველა. ქერა ბიჭმა კი თექის ქუდი მოიხადა და გზისპირას წყნარად გაჩერდა.

— ეს მამაჩემი ილასია, — უთხრა მას ხაზბიმ.

ამასობაში მამაც მიუახლოვდათ. მან გუდა და კარაბინი მიწაზე დადო. ხაზბიმ მაშინვე წარუდგინა სტუმარი.

— იცნობდე, მამა. ეს იურიკია.

— იურიკი?

— ჰო, იურიკი! იურიკ ნოვიკოვი.

— რაო? სტეფანეს ვაჟი? ჩემი ძმის სტეფანეს შვილი? — შესძახა გახარებულმა მწყემსმა, ბიჭუნა ზე ასწია და ორივე ლოყაზე აკოცა. — კი მაგრამ, როგორ გაჩნდი ამ ჩვენს მთებში?

— მამამ წამომიყვანა, — თამამად მიუგო იურიკმა.

— სტეფანემ წამოგიყვანა? — აღელდა ილასი. — თვითონ რა იქნა?

— უკან დაბრუნდა, როსტოვში. აქ ვერ ამოვიდა, შვებულება გაუთავდა. ის ხომ ქარხანაში მუშაობს. და აი, მე გამომგზავნა თქვენთან. მითხრა, მომიკითხეო.

— ეჰ საწყენია, ისევ ვერ შევხვდით ერთმანეთს! — შეწუხდა მწყემსი. — ძალზე საწყენია. დიდი ხანია

ჯიორჯი ქუმათი

მხატვარი
ოთარ
ჩხარტიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მეგობრები

მოთხრობა

არ მინახავს სტეფანე. შენ კი ყოჩაღ, რომ მოხვედი. იცი რა კარგია ჩვენთან!..

მართლაც იურიკი ზღაპრულ ქვეყანაში მოხვდა. როსტოვში ყველაფერი ჩვეულებრივი იყო. მატარებელშიც, მთების უცნაური მოხაზულობა რომ გამოჩნდა, იურიკი მაინცდამაინც არ განცვიფრებულა. თვით მთის სოფელმაც, სადაც იგი მამამ მიიყვანა, ვერ გააკვირვა, — მას კინოსურათებში ხშირად ენახა მთიელების ცხოვრება. მაგრამ აქ. არწივების საბუინოში, ყველაფერი არაჩვეულებრივი ჩანდა. ზღაპარი იმ წუთიდანვე დაიწყო, როცა მწყემსი ილასი დაინახა: ფარის უკან მეწამულ მტვერში მომავალი მოჩვენება გეგონებოდა. და კიდევ იმან გააოცა იურიკი, რომ ილასმა მამამისს, ქარხნის ოსტატს, ძმა უწოდა და თვითონ იურიკიც შვილივით გადაკოცნა.

მართალია, მამა ეუბნებოდა, მთიელები სტუმართმოყვარენი არიან და სწავლის დაწყებამდე მთაში, ილასთან ჩინებულად დაისვენებო, მაგრამ პატარა იურიკი მაინც არ მოელოდა, ასე გულთბილად თუ შეხვდებოდნენ.

— შენ ალბათ დაიღალე, იურიკ!— მწყემსმა ბიჭუნა ნაბადზე დასვა. — არა უშავს, დაისვენებ ჩვენთან! ხაზბი! — დაუძახა მან შვილს: — აიღე სათლი და ჩვენი ძვირფასი სტუმრისთვის რძე მოწველე. მე და შენ კი, იურიკ, ახლავე მწვადებს შევწვავთ. იცი მწვადის შეწვა?

— ვიცი. — მიუგო ბიჭუნამ.

— ოჰო, აბა სცადე. მე გიყურებ.

ილასმა სიყვარულით დაუწყო ცქერა ბიჭს, როცა იგი საქმეს შეუდგა. მთიელს გამხდარ, მზითა და ქარით გარუჯულ სახეზე თბილი ღიმილი დასთამაშებდა, თვალები კეთილად უბრწყინავდა.

იურიკმა იქვე, ლოდთან ცეცხლი დაანთო. გამხმარი ღვია ხელად აპრიალდა და ცეცხლის ენამ ლოდის გაბოლილი გვერდი ალოკა. ეტყობოდა, აქ ბევრჯერ აებრიალებინათ ცეცხლი მწყემსებს. შემდეგ, იურიკმა ღვის წნელს წვერი წაუთალა — შამფური გათალა, ზედ ცხვრის ხორცის პატარპატარა ნაჭრები ჩამოაცვა, მარილი მოაყარა და ცეცხლს მიუფიცხა. მწყემსი თვალს ადევნებდა იურიკს და იცინოდა.

— ნამდვილი მთიელი ხარ! — უთხრა მან ბიჭუნას. — ვინ გასწავლა მწვადის შეწვა?

— მამამ.

— ჰოო! სტეფანემ მართლაც იცოდა, ერთმა მთიელმა ასწავლა.

— ვინ იყო ის მთიელი? — ჰკითხა იურიკმა, — თქვენ ხომ არა?

— ოჰ, რას ამბობ... ის მთიელი ტრაბახა როდია. მერე კიდევ, ყველაფერი რატომ უნდა იცოდე შენ? — მწყემსმა ხუმრობით სიტყვა ბანზე აუგდო.

„ეტყობა, აქ წესად არ აქვთ რაიმეს კითხვა", — გაიფიქრა იურიკმა.

მან მართლაც არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ უცნობ, მთიან მხარეში. და მეტი არც არაფერი უკითხავს, მხოლოდ შამფურს ატრიალებდა ცეცხლზე.

ხაკვერცხლებს ქონი შიშინით ეწვეთებოდა. იურიკმა მწვადს ცოტა მოათალა, შეიწვა თუ არაო. ამ დროს რძიანი სათლით ხაზბიც მოვიდა.

— წიგნები თუ მოიტანე? — ჰკითხა მას ილასმა.

— წიგნებიც მოვიტანე და გაზეთებიც.

— კარგი გიქნია, თორემ ჩვენმა სტუმარმა შეიძლება მოიწყინოს. მეც მოვისმენ, რა ხდება ქვეყანაზე.

— მწვადი მზადაა! — საზეიმოდ განაცხადა იურიკმა.

— დიდებულია! — ილასი წამოდგა და დაიყვირა: — მილა! მილა!

„ნეტა ვის ეძახის?" — ირგვლივ მიმოიხედა იურიკმა.

ილასი თურმე ძაღლს უხმობდა. მილამ პატრონთან კუდის ქიცინით მიირბინა.

— ბოდიშს ვიხდი, — უთხრა ილასმა იურიკს, — მაგრამ მე პურის ჭამას ისე ვერ შევუდგები, თუ მილაც ჩემთან არ იქნება. მან ჩვენი ცხვრები ბევრჯერ გადაარჩინა მგლებისაგან. აჰა, მილა! — ილასმა ძაღლს ხორცის ნაჭერი გადაუგდო.

იურიკმა, ბოლოს და ბოლოს, გაბედა და იკითხა:

— მაპატიეთ... თქვენთან... ყველა თქვენგანს ამდენი ცხვარი ჰყავს?

— არა, ეს ცხვრები კოლმეურნეობა „განთიადისაა". მე კი მხოლოდ და მხოლოდ კოლმეურნეობის მწყემსი ვარ. ნუთუ ხაზბის შენთვის ამაზე არაფერი უთქვამს? ხაზბი!

— ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი. — მიუგო ხაზბიმ. — იურიკი ჩქარობდა შენს ნახვას.

სანამ ილასი და ბიჭები ვახშმობდნენ, ღამეც ჩამოწვა.

ძაღლმა ხორცის რამდენიმე ნაჭერი შეჭამა, გეჯიდან რძე ამოსლიპა და ცხვრისკენ გაემართა, — იგი პატიოსნად ასრულებდა თავის მოვალეობას — ცხვარს ერთგულად დარაჯობდა.

ნავახშმევს ილასმა თქვა:

— უკვე ძილის დროა. იურიკი ნამგზავრია და დაღლილიც იქნება.

— არა, არა, ჩვენ უნდა ვიკითხოთ, — წამოიძახა ხაზბიმ. — იურიკს ახალი წიგნები წამოუღია.

ხაზბიმ ყველაზე სქელი წიგნი ამოარჩია და იურიკს ხელში შეაჩეჩა.

— წაიკითხე. მამას ძალიან უყვარს ლექსები.

იურიკი ცეცხლთან ახლოს მიჩოჩდა, წიგნი გადაფურცლა და კითხვა დაიწყო. ხაზბიმ დაინახა, იურიკი ზეპირად კითხულობდა:

მე გადავცქერი კავკასიონს და
ვდგევარ საშუ
ნაპრალის პირად — მყინვარების
და თოვლის ზევით;
გადაღმა კლდეზე წამოფრინდა
არწივი რხევით,
მე გამისწორდა და უძრავად
ელვარებს ცაში.

— პუშკინია, ხომ? — იკითხა მწყემსმა. — მე ვიცი ეს. სტეფანე მიკითხავდა პუშკინის ნაწერებს.

— როდის გიკითხავდათ? — დაინტერესდა იურიკი.

— დიდი ხნის წინათ. თუმცა, არა, — ამოიოხრა ილასმა. — ასე მგონია, გუშინ იყო-მეთქი.

ბიჭებმა ყური ცქვიტეს. ეგონათ ილასი რაიმეს გვიამბობსო, მაგრამ მწყემსი დუმდა. სახე თითქოს გაუქვავდაო. გეგონებოდა, მოგონებამ გაიტაცა ან ჩაეთვლიმაო.

სიჩუმე სუფევდა მთებში. მხოლოდ ცეცხლმოდებული კუნძების ტკაცუნი არღვევდა მდუმარებას. მთის დაკბილული კედლის თავზე მთვარე გადმოდგა.

ბიჭებმა ერთ ხანს კიდევ იჩურჩულეს, სანამ ძილმა არ წაართვათ თავი.

მომხიბლავი დილა გათენდა. მზის პირველმა სხივებმა თოვლიანი მწვერვალები ააბდღვრიალა. იურიკს ასე ეგონა, — წითელი ყაბალახით თავშებურვილი გოლიათები აღმართულან ცის კიდურზეო. რაც უფრო მაღლა იწევდა მზე, მით უფრო მკაფიოდ ჩნდებოდა ალაგ-ალაგ ტყით შემოსილ მთათა კონტურები. თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ყინვარები.

ხოლო ქვემოთ, ხეობაში, მწვანე ხავერდივით ხასხასებდა საძოვრები.

ილასი ცხვარს უნდა გაჰყოლოდა. წასვლის წინ იგი შვილს მიუბრუნდა:

— ხაზბი, აჩვენე სტუმარს ჩვენი საძოვრები.

— ვაჩვენებ. მამა!

წაისაუზმეს თუ არა, ბიჭები აღმართებს შეუყვნენ და რამდენიმე ხანში მთას თავზე მოექცნენ. მათ წინ ფართო ხეობა გადაიშალა.

— იურიკ, შეხედე, ჩვენი თხები!

— აბა სადა?

— აი, შორს, შორს, მდელოზე ორ თხას ხედავ? იქ მამაჩემია, წავიდეთ.

მეგობრებმა ჩქარი ნაბიჯით გასწიეს. გზადაგზა შეშფოთებული წამოუფრინდებოდნენ ხოლმე როჭოები.

— შეხე, ხაზბი. აი იქ, რამდენა თხაა!

— სუ, ჩუმად! — დაიჩურჩულა ხაზბიმ. — ეს თხა კი არა, არჩვია.

— არჩვი?

— ჰო.

თითქოს ქვის ქანდაკებააო, ისე იდგა არჩვი კლდის ქიმზე და სადღაც სივრცეში იყურებოდა.

— მოდი ახლოს მივეპაროთ, — თქვა იურიკმა.

— ცარიელი ხელებით? — ხაზბიმ ამოიოხრა: — ეჰ, ნეტავი მამაჩემის კარაბინი გვქონდეს!



— ცოდვაა მოკვლა. ისე ვნახოთ ახლოდან...

— მაშინ მეორე მხრიდან უნდა მოვუაროთ, თორემ აქედან ქარი მისკენ ქრის და ხელად სუნს იკრავს.

ბიჭებმა ცოცვა-ცოცვით გასწიეს წინ.

— ვერ შეგვამჩნევს? — იკითხა იურიკმა ჩურჩულით.

— ფრთხილად, ფრთხილად! არ გაინძრე!

მაგრამ არჩვმა შენიშნა ისინი და ტყვიასავით გავარდა კლდე-კლდე.

— ვიცოდი, სუნს იკრავდა, — თქვა იმედგაცრუებულმა ხაზბიმ.

ისინი კვლავ წინ გაემართნენ და თხებთან მიაღწიეს. თიკანი დედათხას ჯიქანში შეუვარდა და წოვა დაუწყო. ხაზბიმ მეორე თხა დაიჭირა და იურიკს დაუძახა:

— მომეცი შენი ქუდი, ჩამოვწველოთ.

— როგორ, ქუდში?

— ჰო, მწყემსები ასე იქცევიან.

თექის ქუდი სწრაფად ივსებოდა ქაფქაფა რძით.

— დალიე, — უთხრა ხაზბიმ სტუმარს.

იურიკმა გამოართვა და დაუწყო სმა ნოყიერ, თბილ რძეს. რძეს ქუდში უკვე გაეჟონა და თეთრ წვეთებად ესხურებოდა მიწას.

— გემრიელია! — თქვა იურიკმა.

— მოდი, ახლა შენ მოწველე, — შესთავაზა ხაზბიმ.

ამ დროს რაღაცის ჩრდილმა ხმაურით გადაუქროლა მათ. მოულოდნელობისაგან იურიკი კიდეც მოიკუნტა.

— არწივი! აუჰ, რამხელაა!

არწივი თითქმის არ არხევდა ფრთებს და ისე აკეთებდა იროას მათ თავზე.

— თიკანი დაუნახავს! — თქვა ხაზბიმ. — სადმე უნდა შევრეკოთ თხები.

—განა არწივი თიკანს ასწევს?

— უჰ, მას თხის მოტაცებაც შეუძლია.

ხაზბი ყვიროდა და ხელებს იქნევდა. არწივი კი თავისას მაინც არ იშლიდა. გაჩერდებოდა ჰაერში, ოდნავღა ირხეოდა ხან ერთს, ხან მეორე მხარეს. გეგონებოდათ, ბიჭებს ეთამაშებაო.

ხაზბიმ თხები საჩქაროდ შერეკა დიდ ქვაბურში მდებარე ყინვარზე. გოლიათის შუბლისებური მისი შვერილი ნაოჭებით იყო დაღარული. ამ ნაოჭების მეოხებით ხაზბის შეეძლო ყინვარის ხნოვანება გამოეცნო. როცა მან ეს იურიკს უთხრა, ცოდნისმოყვარე სტუმარს თვალები გაუბრწყინდა. მერე მათი ყურადღება ყინვარის ძირში გადმომჩქეფარე ნაკადმა მიიპყრო. მწვანე წყარო ქვებს შორის მიჰქროდა და ნაპირებზე ფერად-ფერად ქაფს ტოვებდა.

უცებ ხაზბიმ შიშნეულად იყვირა:

— შეხედე, გამოგვეკიდა! გამოგვეკიდა!

— ვინ?!

იურიკმა მიხედვაც ვერ მოასწრო, რომ არწივმა თიკანს ფერდებში კლანჭები ჩაავლო და მძიმე-მძიმედ აიწია ჰაერში.

— არიქა, არ გავატანოთ! — შესძახა ხაზბიმ.

ბიჭებმა ავაზაკ ფრინველს ქვების სეტყვა დაუშინეს. მარჯვედ ნასროლი ერთი ქვა კიდეც მოხვდა. არწივმა ფრთები დააფართხუნა, ნელნელა დაუშვა და თიკანი დააგდო.

მიწაზე დავარდნილი თიკანი კოჭლობით წამოხტა და საწყალობელი კიკინით დედისკენ გაიქცა.

— აი ეს მესმის! რა ყოჩაღები ვართ! — აღტაცებული იძახდა იურიკი.

— წამო, თიკანს მივხედოთ. — უთხრა ხაზბიმ.

თიკანი მალე დაიჭირეს. ფერდებზე ბეწვი სისხლით შეღებვოდა, დაცემისას დაშავებული ერთი ფეხი უღონოდ ეკიდა.

— მორჩება, — დარწმუნებით თქვა ხაზბიმ და თიკანს ყურზე აკოცა.

— ნუ გეშინია, სულელო, თან წაგიყვანთ. — ხაზბი იურიკს მიუბრუნდა: — მე ავიყვან ხელში. რარიგ გაუკვირდება მამაჩემს! თანაც შეგვაქებს, ნამდვილი მთიელები ხართო, გვეტყვის.

— შეიძლება შევეკითხო მამაშენს?

— რა?

— მამაჩემზე. საიდან იცნობს მას? საერთოდ, თქვენთან კითხვა შეიძლება?

ხაზბის გაეცინა.

—ჰკითხე რაც გინდა, მამა ყველაფერზე გიპასუხებს. მას ძალიან უყვარხარ...

— რატომ ვუყვარვარ? ის ხომ მე სრულებით არ მიცნობს.

— ადექი და შენცა ჰკითხე, რატომ გიყვარვარ-თქო.

ბიჭებმა ვერც ისე მალე მონახეს ილასი.

გზად მთიბავებს შეეყარნენ. მხარდამხარ ჩამწკრივებული მთიელები მთის ფერდობზე ცვრიან ბალახს თიბავდნენ. ყოველ მოქნევაზე ცელები ხმლებივით ელავდნენ მზეში.

— ჩვენთან მანქანებით თიბავენ, — თქვა იურიკმა.

— აქ ვერ ივლის მანქანა, — მიუგო ხაზბიმ.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა იურიკი და ციცაბოებს მიმოავლო თვალი.

მთიბავებმა ბიჭები გააჩერეს. ყველაზე მაღალმა იკითხა:

— ეს ვინ გახლავს, ხაზბი?

— იურიკი, ჩვენი სტუმარი. სტეფანე ნოვიკოვის შვილია.

— ვიცნობთ სტეფანე ნოვიკოვს, — თქვა მთიბავმა და ბიჭს ახედ-დახედა.

— საიდან იცნობს მამაჩემს?! — გაოცდა იურიკი.

— ალბათ მამაჩემის ნაამბობით.

ილასის ძებნაში ბიჭები მერძევეობის ფერმას მიადგნენ. მწველავი ქალიშვილი სონა მათ რძით გაუმასპინძლდა.

— ეს ის ბიჭია? — ჰკითხა მან ხაზბის.

ხაზბიმ თავი დაუქნია.

— ჩვენ ვიცნობთ მამაშენს, — უთხრა სონამ იურიკს.

„საიდან იცნობენ მამაჩემს ყველანი? — ჰკვირობდა ბიჭი თავის გულში. — ის ხომ აქ არასოდეს არ ყოფილა!“

ვეებერთელა ეზოში ძროხების ტევა არ იყო. ბიჭები ყორეზე აფოფხდნენ წველის საყურებლად. მწველა-



ვები დოლბანდში გაწურულ რძეს სათლებიდან როფებში ასხამდნენ. ხაზბიმ იურიკს აუხსნა, კვეთის საშუალებით რძე როგორ იქცეოდა ყველად.

შემდეგ სეპარატორი დაათვალიერეს. აქ დღვებავდნენ ჩვეულებრივ კარაქს, სწორედ ისეთს, იურიკის დედა რომ ყიდულობდა ხოლმე როსტოვის მაღაზიებში.

ყველაფრის დათვალიერებას რომ მორჩნენ, მეგობრებმა გზა განაგრძეს. ბოლოს, როგორც იქნა, ახალ ფარეხამდე მიაღწიეს. იქ მათ გუშინდელივით ალერსიანად შეხვდა ილასი.

ხაზბიმ თიკანი ძირს დასვა და მამას არწივთან ბრძოლის ამბავი მოუყვა.

— რომელმა მოარტყით ქვა? — იკითხა ილასმა.

— მე... უფრო სწორად, ორივემ, — საჩქაროდ შეასწორა თავისი ნათქვამი ხაზბიმ, რადგან მთიელები სტუმარს არ აწყენინებენ.

— გმადლობთ ორივეს. არწივი ჩვენი მტერია. შენ კი, ძვირფასო სტუმარო, საჩუქარი დაგახვედრე. აულიდან შენთვის მთიელის სამოსი მოიტანეს. ჩაიცვი და ატარე მშვიდობაში!

იურიკი დაბნეული უყურებდა ჩერქეზულ ჩოხას, ფაფახს, ვერცხლის ქამარ-ხანჯალს...

როცა იურიკი ნაჩუქარ ტანისამოსში გამოეწყო, კმაყოფილმა ილასმა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა იგი და ხაზბის მიუბრუნდა:

— დიდებული ვაჟიშვილი ჰყავს სტეფანეს! ნამდვილი მთიელი!

შემდეგ ილასი ქვაზე ჩამოჯდა და იურიკის მამასთან დამეგობრების ამბავი გაიხსენა.

— სიამოვნებას მგვრის მამაშენის გახსენება. შენ რომ გხედავ, ასე მგონია, მას ვუყურებ; შენ რომ გელაპარაკები, თითქოს მას ვესაუბრებიო. ის ჩემი ძმაა.

— როგორ თუ ძმა? — შეეკითხა იურიკი.

— ნუთუ მამას შენთვის არაფერი უთქვამს?! — მწყემსს სახეზე გაკვირვება გამოეხატა.

— ხედავ, რა გულჩათხრობილია იგი — შვილისთვისაც კი არაფერი უამბნია! მე თუ ვდუმდი, ეს იმიტომ, რომ განსაკუთრებული არაფერი ჩამიდენია. მამაშენმა კი...

მწყემსმა აბრიალებულ ცეცხლთან ახლოს დასვა ორივე და, თითქოს ლექსს კითხულობსო, ისეთი ხმით დაიწყო:

— ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, მე კი ყველაფერი გუშინდელივით მახსოვს... ფაშისტები კავკასიისკენ, ჩვენი მშობლიური მთებისკენ მოძვრებოდნენ. სწორედ მაშინ გავიცანი, იურიკ, მამაშენი, ჩემი მებრძოლი ამხანაგი სტეფანე. ერთხელ დასაზვერად გაგვგზავნეს. სტეფანე ნოვიკოვი მამაცი ჯარისკაცი, ნამდვილი რუსი ვაჟკაცი იყო. მე ადგილმდებარეობას ვიცნობდი უკეთ, ის — ბრძოლის საქმეს. ყველაფერი კარგად დავზვერეთ და ჩვენი ნაწილისაკენ გამოვბრუნდით. ბნელი ღამე იყო. მე წინ მივუძღვებოდი სტეფანეს. უცებ მტრის პატრულს წავაწყდით. გერმანელებმა იქაურობა შუშხუნებით გაანათეს და ტყვია დაგვიშინეს. ჩვენც ავაკაკანეთ ავტომატები. ანაზდად ჩემს გვერდით რაღაცამ საზარლად დაიგრუხუნა. მე წავიქეცი და გონი დავკარგე. ცნობაზე რომ მოვედი, მივიხედ-მოვიხედე. ვხედავ, — ოთახში დაჭრილები წვანან, ჩემს თავთან კი სტეფანე დგას. „სად ვარ?“ — ვკითხე. „სანიტარულ ნაწილში. ნუ გეშინია, მეგობარო“. დავიხედე — მკლავი შებინდული მაქვს, მკლავი ჯი არა, მორი გეგონება. „ნაღმისაგანაა, — მეუბნება სტეფანე. — კიდევ კარგი, რომ ცოცხალი გადარჩი. ახლა მალე მორჩები“. მე ბოღმა მომაწვა: „არა სჯობდა იქვე გავთავებულიყავი? ვის რაში ვჭირდები საპყარი!“ „შენს ხალხს სჭირდები! — მიყვირა სტეფანემ, — ჩვენს საბჭოთა ქვეყანას სჭირდები! ოჯახს! შვილს!“. შენ თავს გულისხმობდა, ხაზბი, გესმის, შვილო?

ილასი გაჩუმდა. თვალები ანთე-

ბოდა, რამდენიმე წუთს ხმა ვერ ამოიღო. მერმე, იურიკს მოეხვია და განაგრძო:

— მოვეხვიე მაშინ სტეფანეს, აი ასე, და ვუთხარი: „მე ღვიძლი ძმა არა მყავს, მაგრამ დღეიდან შენ იქნები ჩემი ძმა. ხომ იქნები? ომი რომ დამთავრდება, მოდი ჩემსას, კოლმეურნეობა „განთიადში“. თავის მხრივ სტეფანემაც სიტყვა მომცა: „მე შენი ძმა ვარ. დაიცა, წამომეზარდოს ბიჭი. ზაფხულობით შენთან მოვიყვან. ზამთრობით კი შენც ჩამოიყვანე შენი ვაჟი ჩემთან. დაე ისინიც ძმები იყვნენ“.

ილასმა ბიჭებს იქითკენ გაახედა, სადაც ორი უზარმაზარი მუხა იდგა და თქვა:

— შეხედეთ ამ გოლიათებს. ისინი გვერდიგვერდ იზრდებიან. თუ ქარი ჩრდილოეთიდან ქრის, აგერ ის მუხა მეორეს იფარავს; თუ სამხრეთიდან უბერავს, მეორე იფარავს პირველს. ხნიერი მუხების გვერდით ნორჩი მუხებიც უფრო კარგად იზრდებიან, გასაჭირში ერთმანეთს დაიცავენ. რუსი კაცი ჩვენი უფროსი ძმაა, ბრძოლაშიც ძვირფასია და მეგობრობაშიც. მას ყოველთვის შეიძლება დაენდო. ასეა, ჩემო ბიჭებო!

ილასი დადუმდა. ისმოდა მუხების ფოთოლთ შრიალი, თითქოს ჩურჩულით ისეთ რამეს ამბობდნენ, რაც ჯერ კიდევ არ ეთქვა მწყემსს.

თარგმნა ს. ბეჩოელმა.



# ალანური ბალადა

ძველი წყაროების მიხედვით, როცა პომპეუსი კავკასიაში შემოიჭრა (65 წ. ჩვ. წ. ა.-მდე), მის წინააღმდეგ ალანებიც იბრძოდნენ.

## გიორგი ბესთაუთი

მოახათქუნებს ყუბანი ლოდებს,
ჩხავის ყორანი, —
ალბათ ხევში რაღაც დალანდა...
მდინარე, —
ვეფხვი, —
ღრღნის და ფხაჭნის
კლდეებს და კბოდეს, —
მდინარის პირას
დგას
სარდალი
მამაც ალანთა!

სუფევს სიჩუმე,
დამარცხების ჩამოდგა წამი.
დადუმებულა
ბუკ-ნაღარა,
არ ისმის ჩქამი.
წელმოწყვეტილი
მზე
ლასლასით
გადადის
მთაზე,
კენწეროებზე მოსდებია
ალმური ნაძვებს.

ჯაჭვის პერანგი
ბზინავს, როგორც
ზვიგენის ზურგი,
უკვირთ სიწყნარე მუზარადებს,
ხმლებსა და შუბებს.
დღე დღევანდელი
ალანთათვის
დღე იყო ურგი, —
სევდიან ნისლით ავსებია
ხეობას უბე.

ომის ღვთაება
პომპეუსის მხარეზე დადგა, —
ვასთირჯიმ* უწყის:
არსაქომმა** წააგო ბრძოლა!

სისხლს ორთქლი ასდის, —
გეგონება ვულკანი ხრჩოლავს, —
და მლაშე ნისლი
უგემურად მიიწევს მაღლა.

დგას არსაქომი,
სად ყუბანი გურგურით ჩარბის,
(წივილ-კივილით გადიქროლა
წეროთა გუნდმა).
ხვალვე,
ბრძოლაში,
ვაჟკაცური რიხით და ფანდით
ალანთა სისხლი
არსაქომმა აიღოს უნდა!

დაირტყა მჯიღი —
ჩაინგრია კინაღამ მკერდი,
და როს მომხვდურებს უგინებდა
ცოცხალს და მკვდარსაც, —
მტრის ბანაკიდან
მეომარი ეახლა ერთი
და... საიდუმლო პომპეუსის —
ყოველი გასცა.

„— აბა, ვაჟკაცად მოღალატე —
სად თქმულა,
ვინ თქვა, —
მტერი მოყვარედ არ იქცევა,
ბოროტი, ავი!“
აწივლა ხმალი არსაქომმა
ხრჭიალით კბილთა,
და გოგრასავით წააცალა რომაელს
თავი.

ასე ვისწავლეთ
ჩვენ გარჩევა
მოყვრისგან მტერის...
მას შემდეგ გრგვინავს ყუბანი და...
გმირებზე მღერის!..

თარგმნა გივი ძნელაძემ.

* ვასთირჯი — ომის ღმერთი.
** არსაქომი — სარდლის სახელი.

მოსწავლეთა შემოქმედება

# მასწავლებელი

ლალი ჯუსოევა,
ცხინვალის 1-ლი ქართული საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

ანბანი სკოლაში შესვლამდე მასწავლეს, მაგრამ, როცა სკოლაში შემიყვანეს, ასოების სწავლა მაინც საინტერესო აღმოჩნდა. აქ ახლებურად, სულ სხვაგვარად მიხსნიდა გაკვეთილს მასწავლებელი და მისი ხმა მეტად შთამაგონებლად ჟღერდა.

პირველი კლასი — ოქტომბრელთა კლასი... მერე პიონერთა რიგებში მიღება, მერე კომკავშირში... და ყველგან, ყოველთვის — მასწავლებლის ყურადღებიანი თვალი და მზრუნველი ხელი...

ჩვენს სკოლაში ხშირად მოდიან ყოფილი მოსწავლეები, დღეს უკვე ცნობილი ადამიანები — ექიმები, მწერლები, მეცნიერი მუშაკები, მსახიობები... მაგრამ ისინი ჩვენს მასწავლებლებს მაინც ასე მიმართავენ: „ოლია მასწავლებელო“, „ნინო მასწავლებელო“...

მათთვის სიტყვა „მასწავლებელი“ წმიდათაწმიდა სახელია.

სანამ სკოლაში შევიდოდი, მასწავლებელი რაღაც ზებუნებრივ არსებად მიმაჩნდა. მეგონა, მან ყველაფერი იცოდა და უიმისოდ ამ ქვეყნად არაფერი კეთდებოდა.

ერთხელ, მახსოვს, სიზმარი ვნახე: ვზივარ მერხზე და ვხატავ. ამ დროს მომიახლოვდა თოვლივით თეთრთმიანი ქალი, სათვალე ეკეთა. მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და მკითხა: — გოგონა, რას ხატავ?

— მასწავლებელს. — ვუპასუხე და შევკრთი. იგი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც მყავდა წარმოდგენილი, როგორის დახატვასაც ვაპირებდი, მაგრამ არაფერი გამომდიოდა: თეთრ ფურცელზე თეთრ თმას ვერაფრით ვერ ვხატავდი.

დიდხანს ვუყურებდი ამ სათნოებითა და კეთილშობილებით აღსავსე ქალს. ის კი მიღიმოდა და, ასე მეგონა, მის მაგივრად მზე იცინის-მეთქი.

როცა ნახა, რომ ვერ ვხატავდი, მასწავლა, აი, ასე დახატეო. მე კი უცებ ვუთხარი: თქვენ სწორედ ისეთი მასწავლებელი ხართ, როგორიც მე მინდა მყავდეს-მეთქი.

თეთრთმიანმა ქალმა გამიღიმა და წავიდა. არა, კი არ წავიდა, გაფრინდა, და... მეც გამომეღვიძა. მას შემდეგ მახსოვს ეს სიზმარი და არასოდეს დამავიწყდება.

სკოლაში შესვლამდე ყველა მასწავლებელი ერთნაირი მეგონა — თოვლივით ქათქათათმიანი, სათვალიანი. მაგრამ როგორ გავოცდი, როცა პირველ სექტემბერს დედიკომ ერთ ქალთან მიმიყვანა და მითხრა: აი, შენი მასწავლებელი, მაყვალა მასწავლებელიო.

მაყვალა მასწავლებელს შავი თმა ჰქონდა და არც სათვალე ეკეთა. იგი ჩვეულებრივი ქალი იყო და არაფრით არ განსხვავდებოდა ჩემი დედიკოსაგან.

მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა. გავიზარდე, თითქმის ყველაფრით გამოვიცვალე, მაგრამ ის პირველი ფიქრი, მასწავლებელი რომ არაჩვეულებრივი ადამიანი მეგონა, დღემდე თან მახლავს.

მასწავლებელი ჩემი იდეალია. როცა შემეკითხებიან ხოლმე, ყველაზე მეტად რომელი პროფესიის ადამიანს სცემ პატივსო, უყოყმანოდ ვუპასუხებ: — პედაგოგს-მეთქი. დედაზე საყვარელი ხომ არაფერია ამ ქვეყნად და მასწავლებელი ხომ მეორე დედაა, მარად დაუვიწყარი, საყვარელი დედა. როგორ არ უნდა სცე პატივი ისეთ ადამიანს, რომელიც დედასავით დღე და ღამ შენზე ფიქრობს, ცდილობს ადამიანი გაგხადოს!.. როგორ არ უნდა აღმერთებდე ადამიანს, რომელსაც შენთვის მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე უნდა!

ადრე მეკითხებოდნენ ხოლმე, რომელი საგანი უფრო გიტაცებსო, მაგრამ მე არ ვიცოდი რა მეპასუხნა. მხრებს ავიჩეჩდი და ვიტყოდი, ყველა საგანი ერთნაირად მიყვარს-მეთქი.

ახლა რომ მკითხონ, რომელი საგანი უფრო გიყვარსო, უყოყმანოდ გავცემ პასუხს: ქართული ენა და ლიტერატურა. ეს იმიტომაც, რომ მას ოლია მასწავლებელი მასწავლის.

ოლია მასწავლებელი მარტო მე კი არა, ყველას უყვარს. როცა იგი გაკვეთილს გვიხსნის, კლასში მართლაც ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებთ. ის მარტო ქართულ ლიტერატურას კი არა, ცხოვრების ავ-კარგსაც გვასწავლის.

ვუყურებ მის ჯერ კიდევ ახალგაზრდულ სახეს, თმას, რომელსაც აქა-იქ ჭაღარა შეჰპარვია და ვფიქრობ მომავალზე... გავა წლები და ეს თმა სულ გათეთრდება, თვალებს კი სათვალე დაუფარავს და ოლია მასწავლებელი გარეგნულად იმ მასწავლებელს დაემსგავსება, სკოლაში მისვლამდე რომ მყავდა წარმოდგენილი.

დიახ, თურმე მასწავლებელი სრულიად ახალგაზრდა შემოდის სკოლაში და სკოლიდან მიდის თავის მოსწავლეებზე ზრუნვით გათეთრებული. უნებლიეთ მახსენდება ერთი კარგი, ძალიან კარგი სიმღერა, რომელიც დედას ეძღვნება, მაგრამ რატომღაც მასწავლებელს მომაგონებს:

„მე რო გულში გაზაფხული მეგრძნო,
შენ იმიტომ დაგიზამთრდა თმაში“.



ტრაქტორი
ვანო ხოდური,
12 წლის.

## პირველი ნაბიჯი

პირველი ნაბიჯი...
პირველად — „დედა“,
პირველად — „მამა“,
მერე — ძმა, და.

საბავშვო ბაღი...
სხვა დედა, ძმა,
ჭაღარაგარეული
აღმზრდელის ხმა.

პირველი სექტემბერი...
ჩუ! ზარის ხმა!
ძვირფასი ანბანი —
ქართული ცა.

პირველი სიხარული —
პირველი ფრიადი
და... თეთრი თოვლივით
ფურცლების შრიალი.

წითელი ყელსახვევი...
„იყავით მზად!“
და ჩვენი შეძახილი —
„ვიქნებით მზად!“

ბელა აბულაძე,
ცხინვალის 1-ლი ქართული საშუალო სკოლის მოსწავლე.



მწყემსი. ხავსით ნამუშევარი.
ლევან ყავლაშვილი ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



ვალერი ჯიოევი, ცხინვალის მე-5 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე.
მფრინავთა დასასვენებელი სახლი (პერსპექტივა).

# „ცხრაძმულას ხევისბერი“ და მისი ვაჟკაცები

გივი თედეევი

მთები, ჩვენი ზვიადი, ბუმბერაზი მთები, მუხლმაგარი ვაჟკაცების საბუდარი, მუხლჩაუხრელი მწყემსების ასპარეზი.

მწყემსები გულალალი ადამიანები არიან, ერთმანეთის სიყვარულში, ერთმანეთზე ზრუნვაში ათენ-აღამებენ. მოხვდებით თუ არა მათთან, უმალ დარწმუნდებით ამაში.

— კაცი კაცისათვის არის გაჩენილი, ჩემო კარგებო, მარტო ქართველები და ოსები კი არა, მთელი მილეთის ხალხი მეგობრულად უნდა ცხოვრობდეს. წუთისოფელი კაცისა არც ისე გრძელია და სიკვდილის შემდეგ ავად არ უნდა მოგიხსენიონ, — ამბობს მუდამ თვალმომღიმარე, ჭარმაგი კაცი, მარტო ლენინგორის რაიონში კი არა, მთელ ოსეთში „ცხრაძმულას ხევისბერად“ ცნობილი სანდრო ჩიტიშვილი.

სამოცი წლისაა იგი და ოცი წლის ჭაბუკივით დადის მთის ციცაბოებზე. მიდის და ყველგან მიაქვს ხალისი, რწმენა. სამ ათეულ წელზე მეტია მიუძღვის ადამიანებს, იცის მათი ჭირვარამი. სოფელსაც უყვარს, სჯერა მისი. საქმეც წინ მიდის, სოფელი შეძლებული ხდება.

— საკვირველია, ამ სიმაღლეზე როგორ აიშენეთ ასეთი მკვიდრი სახლები?! — ვეკითხები სანდროს.

— მართალი გითხრათ, მეც მიკვირს, რა დიდი საქმე გავაკეთეთ! მეცხვარე და ასეთი ბინები?! წინათ მეცხვარეს ნაბადი თუ ჰქონდა, თავს მდიდრად თვლიდა. მწყემსებიც უმადური ხალხი როდი ვართ, ამაგის დაფასება ვიცით. გვინდა ხალხს მოხმარდეს ჩვენი ნაშრომი. გვინდა ბევრი ცხვარი გვყავდეს, სამშობლოს მეტი მატყლი, ხორცი და რძე მივცეთ. ოდესღაც ჩიტიანთში ჩიტს უჭირდა ამოფრენა, ახლა კი მანქანები დასრიალებს... საკოლმეურნეო ცხოვრების პირველ წლებში, თავმჯდომარედ რომ ამირჩიეს, მთელი უბნიდან 200-300 სული ცხვარი თუ გამოვიდოდა. დღეს კი ათეულ ათასობითა გვყავს. აი, ავალთ იალაღებზე და ნახავთ, როგორ შრომობს ჩვენი ხალხი...

ის ღამე სანდროს ბინაში გავათიეთ. სოფლის თავკაცმა მითხრა, ახლა ნამდვილი მწყემსი უნდა გაგაცნოო და ბიჭი აფრინა:

— წადი, შვილო, „წითელ გიორგის“ დაუძახე, პაპაჩემი გთხოვს-თქო.

მალე ოთახში მთასავით კაცი შემოვიდა.

— გაიცანით, აი ეს არის ჩვენი გიორგი ბაშარული, სახელოვანი მწყემსი, ნახევარი საუკუნე რომ ცხვარში გაატარა. გაგიგონებათ, სამამულო ომის პერიოდში საკუთარი დანაზოგი 150.000 მანეთი გაიღო თვითმფრინავის ასაგებად და უმაღლესი მთავარსარდლის პირადი მადლობა დაიმსახურა.

გიორგი ქებაზე უხერხულად შეიშმუშნა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

— დილით მთაში მივდივართ, გიორგი, ჩვენს სტუმარს მწყემსი ბიჭები უნდა გავაცნო, ერთ-ორ გულთბილ სიტყვას დაწერს იმათზე.



სანდრო ჩიტიშვილი

— კარგი საქმეა, კარგი, — ჩაიბუბუნა გიორგიმ. — რაღა შორს მიგყავს, შენზე უკეთესი მეცხვარე და პატრონი ჩვენ ვინა გვყავს! პირველი სიტყვა შენ გეკუთვნის, ჩვენ შენითა ვართ. თავმდაბლობა კარგია, მაგრამ რაც გაგიკეთებია, ჯერ ის უნდა იცოდეს ყველამ, — თქვა მოხუცმა მწყემსმა და მწითური სახე ჩემკენ მოატრიალა:

— აი, ძმაო, კაცი, თუ რაიმეს დაწერა გინდა. ჩვენს სოფელში კოლმეურნეობის დაარსების პირველი მოთავე ეს იყო. გუშინდელივით მახსოვს: მთაში ხმა რომ დაირხა, რევოლუციამ გაიმარჯვაო, მიწაც ხალხისაა და საძოვრებიცაო. მართლაც, იჯარაში მისაცემი ცხვარი ჩვენ დაგვრჩა.

გავიდა დრო. ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს სოფლის მწყემსებს დაგვიძახეს, ცხინვალიდან მთავრობის კაცი მოვიდა, კრება უნდა ჩაატაროსო. მახსოვს, ვასო ერქვა, ეხლაც ყურში ჩამესმის მისი სიტყვები: ხალხო, ძალა ერთობაშიაო, ერთ დიდ ოჯახში უფრო ძლიერნი იქნებითო; ბარში კარგა ხანია გაერთიანდნენ და ყველა კმაყოფილიაო. ბევრს, მეტადრე ღარიბებს, გულით სურდათ, ეთქვათ მზადა ვართო, მაგრამ წამომწყებს ელოდებოდნენ. ჰოდა, მაშინ წამოდგა სანდრო: კოლმეურნეობას დიდი მომავალი აქვს, გაზეთებში თუ კითხულობთ, — სადაც მამულები გაერთიანდა, საქმე კარგად მიდის. მჯერა, ეს საქმე ჩვენც, მთიელებსაც დიდ სიკეთეს მოგვიტანს. მე 50 სულ ცხვარს მოვრეკავ საერთო ფარაშიო.

— რას მიედ-მოედებიო! — შეუძახეს შეძლებულებმა.

— თქვენს შვილებს რომ ვასწავლი წერა-კითხვასა, იმიტომ მივედ-მოვედები ხომ? — შეუტია სანდრომ.

მას პირველად მისმა სახლიკაცმა საკა ჩიტიშვილმა დაუჭირა მხარი, 50 სულს მეც მოვიყვანო. მეც ავყევი სანდროს, ბევრნი სხვანიცა და ცხვარი გავაერთიანეთ, შემდეგ — მამულებიცა. კოლმეურნეობის მეთაურად ჩვენი სანდრო ავირჩიეთ. მას შემდეგ უცვლელი თავმჯდომარეა. თავმჯდომარე კი არა, სოფლის მამაა...

„წითელი გიორგი“ კიდევ გააგრძელებდა საუბარს, რომ სანდროს არ შეეჩერებინა.

— ეჰ, ჩემო გიორგი, კაცის ვალია სოფლის შვილობა. მე რას გავხდებოდი, შენ და შენისთანები რომ არა. ჩემი მერცხალა ბიჭები რომ არა მყოლოდნენ, ცხვარს ვინ უპატრონებდა? იმათ ვენაცვალე, იმათა, მამა-პაპის კვალზე რომ ხტიან! შენს იორამს რომ ვუყურებ, შენი საქმეები მაგონდება. შენსავით თავდადებული მწყემსი იყო და შენსავით ისიც ფერმის გამგე გახდა;



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ცოტა გაჯობა, ჩემო გიორგი, ის უმაღლესსაც ამთავრებს, შენ კი...

— ის ურჩევნია მამულსაო... შენმა შვილებმაც კი დაამთავრეს უმაღლესი, ჩემო სანდრო, მაგრამ შენ?

— მე და შენ შვილების სიკარგეც გვეყოფა. მე ის მახარებს, რომა, რა განათლებაც არ უნდა მიიღონ ჩვენმა ბიჭებმა, მაინც ცხვრის სიყვარული ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. გახსოვს ძუბა ხინჩაგოვის მწყემსად მონათვლა?

-- როგორ არ მახსოვს. ისე ზეიმობდა დალოცვილი, თითქოს უმაღლესში ეწყობოდა.

— უმაღლესშიც მალე მოეწყობა. ცხვარს კი მაინც თავს არ დაანებებს. მასეთი ერთგული სხვა არ მეგულება.

— იმიტომ რომა, ცხვარში გაიზარდა, აქ აიდგა ფეხიცა და ენაც. თვალმახარა ბიჭი იყო, ცეროდენა, ბატკანივით აგვედევნებოდა და არ გვშორდებოდა. თუ რამე დაგვჭირდებოდა, იმას ვაფრენდით ხოლმე სოფელში. რასაც სკოლაში გაიგებდა და ისწავლიდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ ჩვენ გვეტყოდა! მერვე კლასი რომ დაამთავრა, აიკიდა გუდა-ნაბადი და ჩვენ მოგვადგა, — გინდათ თუ არა, ყიზლარში მეც უნდა წამოვიდეო.

— ჯერ საშუალო დაამთავრე და მერეო, — ვუთხარით მწყემსებმა.

— ცხვრის პატრონობა ვიცი, სხვა რაღა გინდათო, — აიჩემა.

ჩვენ — ჩვენი, იმან — თავისი! არ იქნა და განზრახვაზე ხელი ვერ ავაღებინეთ! დედამისიც შემოგვეხვეწა — წაიყვანეთ, უპატრონეთო და ჩვენც, წესისამებრ, გავშალეთ სუფრა, ერთი კოჭლი ბატკანიც წამოვაქციეთ და ლომისაზე — ჩვენი მთების კარიბჭეზე დავლოცეთ. გადავიარეთ მთა და დავადექით შარას. ყიზლარამდე ისე ვიარეთ, ერთი არ დაუჩივლია. იქ კი თქვა: გრძელი გზა ყოფილაო. იმ დღეს მითხრა, დაუსწრებელი საშუალო სკოლა რომ გაიხსნა მწყემსებისათვის, იქა ვისწავლობ, საშუალოსაც დავამთავრებ და უმაღლესსაცაო. ძლიერ გამახარა. გაიხაროს მაგის მშობელმა! — დაატანა გიორგიმ.

— ძუბას ძალიან უყვარს თავისი საქმე. — დასძინა სანდრომ. — რა ქარაშოტიც არ უნდა იყოს ყიზლარში, როგორი თქეშიც არ უნდა მოვიდეს მთაში, ერთხელ არ წამოსცდება საყვედური. და სჯობნის კიდეც ყველას! ყოველი 100 ნერბიდან 98-100 ბატკნის გამოზრდას ცოტა ძალა და ენერგია ხომ არ უნდა!

სანდრო ჩიტიშვილმა ასევე სიყვარულით ილაპარაკა სხველოვან მწყემსებსა და თავჩოზნებზე, ბრიგადირებზე: ომარ ჩიტიშვილზე, ფედრა ბალხამიშვილზე, შაშო ჩიტიშვილზე, შაშო შიუკაშვილზე... ამათი ჭირიმე, ამათი, თავს განსაცდელში ჩაიგდებენ და ცხვარს კი არას გაუჭირვებენო.

სანდროს ნათქვამმა ჯვრის უღელტეხილზე დატრიალებული ამბავი მომაგონა.

ასობით კილომეტრი გზა უნდა დაკეცოს ფეხით მწყემსმა ნოღაეთის ტრამალებიდან სოფელ უკანამხარემდე. ამხელა გზაზე არ შეიძლება ფიქრებმა თავი არ წაგართვას. ფიქრები მოეძალა ვალოდია ჩიტიშვილსაც. აი, მშობლიური მთები. გონების თვალით ხედავს იმ ადგილებს, სადაც ურბენია, უსწავლია, სადაც „აკურთხეს" მწყემსად. ახლა ოცნებაასრულებული ვაჟკაცია; გამარჯვებული მიაბიჯებს, მაგრამ გული რატომღაც დამძიმებული აქვს.

— რა თავპირი ჩამოგტირის, ბალღო? — უთხრა ვანო ჩიტიშვილმა ძმას. — შენიდენა რომ ვიყავი, სულ ცეკვით მივერეკებოდი ცხვარს. შენ კი ბებერივით მუხლები გეკეცება.

ვალოდიას ხმა არ გაუცია. გული კი თითქოს უფრო დაუმძიმდა.

მზე ტყვიისფერ ღრუბლებში მიცურავდა. მწვერვალზე მიახლოებისას მთლად დაიკარგა. აცივდა... „ალბათ შხაპუნა წამოვა". გაუელვა ვალოდიას, ნაბიჯს აუჩქარა. უცებ ქარმა ძალუმად დაუბერა.

— შევჩერდეთ, ვალო! — დაუძახა თავჩობანს უფროსმა ძმამ. — ცხვარი შევაქუჩოთ...

ვალოდიამ ვაცს რქებში ჩაავლო ორივე ხელი და ძმას გახედა, რომელიც ყვირილით აქუჩებდა ცხვარს.

გაცოფდა, გააფთრდა ჯვარი. თოვლის კორიანტელი სულს უგუბებდა მწყემსებს.

„ვიღუპებით", — გაუელვა თავში თავჩობანს. „მაგრად იყავი", მოესმა ძმის ხმა.

ცხვარი დაფრთხა და საზარლად აბღავლდა. ბიჭი ხარ და გააჩერე! ფარას მოწყვეტილი ნოტო სადღაც ხევისაკენ გააქანა გამძვინვარებულმა ქარიშხალმა. „ეჰე...ე...უ...უ... ვიღუპებით, ხალხო", — ამოიხრიალა ვანომ, მაგრამ ეს სიტყვები ქარის ღმუილში არავის გაუგონია. ვალოდიას ვაცი ჩაუბღუჯავს და ბუნების სტიქიას უმაგრდება. როდემდე ეყოფა ჯანი?..

„— ნუ გეშინია, ვალო!"... თითქოს სანდროს ხმაა. მოეჩვენა? არა, ნამდვილად სანდროა, მათი თავმჯდომარე! როგორ მოაღწია ამ ქარიშხალში აქამდე? ნახევარი საათიც არ გასულა, რაც მათ დასცილდა...

ქარი რომ გააფთრდა, სანდროს უღელტეხილი ჩათავებული არ ჰქონდა. უკან დაბრუნდა და ძმებს მიეშველა.

სანამ მსხვერპლი არ მიიღო, სანამ ვალოდია და ვანო არ აატირა, არ დაცხრა ქარიშხალი...

— ბოღმა-ნაღველი არას გვიშველის, ცხვარს კიდევ მოვამრავლებთ, — ამშვიდებს გულჩათუთქულ მწყემსებს თავმჯდომარე. — ხომ გახსოვს, ვანო, ორმოცდაცამეტში სტიქიამ ყიზლარში 20 ათასამდე ცხვარი რომ გაგვიწყვიტა, მაგრამ ისევ თქვენმა მარჯვენამ ამრავლა. ახლა გეგმაზე მეტი მაინც დაგვრჩა.

...დილით, როგორც კი ინათა, მე და სანდრო მთის ბილიკებს შევუდექით. „წითელ გიორგის" გასძახა თავმჯდომარემ, მაგრამ ის უკვე ცხვართან წასულიყო.

მივდივართ და მიამბობს სანდრო: იმ ზარალის შემდეგ კოლმეურნეობის შემოსავალმა 200 ათას მანეთს მაინც გადააჭარბა; შარშან 50 ათასი მანეთი კიდევ გვქონდა ბანკში ჩვენს ანგარიშზე. ეს ანგარიში გაისად 100 ათასს გადაამეტებს. წლეულს თუ ყოველი 100 ნერბიდან 96 ბატკანი გამოვზარდეთ, საიუბილეო წელში 98-ს გამოვზრდითო.

სიტყვა არასოდეს გაუტეხიათ „ცხრაძმულას ხევისბერს" და მის ვაჟ აცებს. მათ არაერთხელ მიუღიათ გარდამავალი დროშა. სანდროს კაი კაცობასა და საქმიანობას მის მკერდზე მბრწყინავი შრომის წითელი დროშის ორდენიც მოწმობს.

„გუგუ, გუგუ"... — იძახის გუგული.

— მართლა ადრე ავდექით, არ დაგასვენე სტუმარი. არ მინდოდა გუგულს დაესწრო. მწყემსისათვის მას ჯერ არ დაუსწრია.

მთის კენწეროებს მზის სხივები რომ მოეხვია, უკვე მუჟუხის მთაზე ვიყავით. ცხვარი ბერაში შეერეკათ და ერთი ყიჟინი ჰქონდათ გოგო-ბიჭებს.

— დროზე გარეკე, ბიჭო, ხედავ, მზე სად ამოვიდა! — ჯავრობს წვერში თეთრშერეული, შავგვრემანი კაცი.

— ეგ დათიკო ჩიტიშვილია, — მეუბნება თავმჯდომარე. — ცხვარს რომ უყვის, — მისი ბიჭი ტარიელია. არდადეგებზე აქ ამოვიდა, მამას ეხმარება. აი, ის, — დათიკოს ქალიშვილი ნაზიკოა. საშუალო წლეულს დაამთავრა და მწველავად წამოვიდა. ის ორი ახალგაზრდა კი ახალდაქორწინებული ნიკო და ზოია ჩიტიშვილები არიან. შვებულება ეკუთვნოდათ, მაგრამ წველის დროს საქმეს არ ეღალატება.

კიდევ სამი ქალიშვილი გავიცანი მუჟუხში. ორ მათგანს, -- მამო და მარიამ ჩიტიშვილებს, საშუალო სკოლა დაუმთავრ...

# მოხუცი და ვიოლინო



**ანატოლი ქაქითი** მოთხრობა

მხატვარი დიმიტრი ზარაფიშვილი

იყო ერთი ვიოლინო — ჩვეულებრივი, ოთხსიმიანი.

იგი ერთს მოღუშულ დილას დაიბადა. ქინქლლიანი ამინდი რომ იდგა, ამას მაშინღა მიხვდა, უკანასკნელი, მეოთხე სიმი რომ ჩამოაბეს.

ვიოლინო მაღალმა, გამხდარმა მოხუცმა გააკეთა. მოხუცის თითებს ნეკერჩხლისა და მზის სუნი ასდიოდა.

— დილა მშვიდობისა!.. — მიესალმა მოხუცს ვიოლინო.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა!.. — სევდიანად მიუგო მოხუცმა და საკრავი ხელში აიღო...

ქამანი სიმებზე გასრიალდა.

ვიოლინო ამღერდა. ისე ნაზად, ისეთი წკრიალა ხმითა და გატაცებით ამღერდა, რომ ცაზე გაწოლილი შავი, საავდრო ღრუბლები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. დედამიწის თავზე ლურჯად გარინდებული, მზის ნათელით გაბრწყინებული ზეცა გამოჩნდა... სახელოსნოს ფანჯრებში ერთიმეორის მიყოლებით შემოცურდნენ მზის სხივები, ისინი იატაკზე განერთხნენ და გაოცებულნი უსმენდნენ ახალდაბადებული ვიოლინოს მომხიბლავ სიმღერას.

მოხუცმა ამოიოხრა. სამუშაო იარაღები მაგიდის კუთხეში მიალაგა და ვიოლინო გასუფთავებულ ადგილას დადო.

ვიოლინო გაოცებული იყო:

„მე ისეთი ძლიერი ვარ. მე ისეთი მშვენიერი და მაღალი ხმა მაქვს, რომ იმის შიშით ღრუბლის ფთილა ვერ გაჭაჭანებულა ცაზე. მე მთლიანად მას ვეკუთვნი. ის კი ასეთი მოწყენილი და სევდიანია...“

რა იცოდა ვიოლინომ, რომ აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მოხუცი ვიოლინოებს აკეთებდა და მერე კი... სხვას მიჰქონდა ისინი. მოხუცის გულში მხოლოდ სევდა და ტკივილიღა რჩებოდა...

•

მუსიკოსი მზით გაჩახჩახებულ ქუჩაში მიდიოდა. გადაკარული ციდან გადმომდგარი მზე გამვლელ-გამომვლელთ ოღრო-ჩოღროებში ჩამდგარი გუბეებიდან შემოსციცინებდა. და ადამიანებიც იცინოდნენ...

მუსიკოსს ძალიან ეჩქარებოდა. იგი

## ჭაღარა

**ზინა ხოსთიყოთი**

თარგმნა ნაზი კილასონიამ.

თქვენ ბევრს მოსწრებიხართ,
ჭაღარა თმებო.
ჩემთვის დროშები ხართ,
ძოწები ხართ,
ჭაღარა თმებო.
თქვენ გახსოვთ ოდითგან
ბრძოლა და მახვილი,
ჭაღარა თმებო.
გახსოვთ დაკოდილთა
უმწეო ძახილიც,
ჭაღარა თმებო.
გახსოვთ გამყიდველთა
გაცემა-დაცემაც,
ჭაღარა თმებო.
შავგულა კაცებიც,
არარა კაცებიც,
ჭაღარა თმებო...
დღეს ზიხარ შენთვის და
ფიქრობ გატაცებით,
ჭაღარა თმებო:
რომ მხოლოდ სიმაღლის
გზებზე შეგვეთვისა,
ჭაღარა, ძმებო!

ბიათ, პელა ჩიტიშვილს კი 8 კლასი აქვს დამთავრებული. ახლა მამებსა და ძმებს აშველებენ ხელს.

წველას რომ მორჩნენ, ცხვარი მთას შეჰფინა ორმა ჭაბუკმა. ვეცნობი მათაც — ვანო და ომარ ჩიტიშვილებს. ორივენი ფედრა ბალხამიშვილის ბრიგადის წევრები არიან, ძუბა ხინჯაგოვის ფარაში მუშაობენ.

მივდივართ და მივსაუბრობთ.

ცოტა ხნის მერე მაღალი ვაჟკაცი წამოგვეწია.

— ეს ფედრა ბალხამიშვილია, ჩვენი ბრიგადირი, — გამაცნო ვანომ.

ძუბა ხინჯაგოვივით ესეც ერთი ციცქნა ბიჭი ყოფილა, ცხვარში რომ წასულა და, აგერ ორი ათეული წელია, კომბალი ხელიდან არ გაუგდია.

— მთავარია, — მეუბნება იგი, — ცხვარი კარგად გამოვაზამთროთ. ჩვენს სოფლელებს სიტყვა მივეცი, რომ საიუბილეო წელს ყოველი ასი სული ცხვრიდან 100 ბატკანს გამოვზრდით, თითოეულ ცხვრიდან სამ კილოგრამ მატყლსა და ოთხ კილოგრამ ყველს მივიღებთ.

სულ მაღლა-მაღლა, მიიწევენ ფარები. მალე მთის ყელს ღრუბლებივით შემოეხვივნენ.

სამხრობისას ბერასთან ისევ ნოტო-ნოტოდ დადგა დიდი ფარა.

ისევ აყივლდა ტარიელი. ისევ ჩამოსხდნენ ქალიშვილები და კაცები. აჩხრიალდა ვედროები. ქალიშვილებმა ყველი ამოიყვანეს. საქმეს რომ მორჩნენ, მზეც გადაიწვერა. სუფრა გაშალეს. ცხვარს დარაჯად ძაღლები დაუდგნენ. გოგო-ბიჭებმა კი ფანდურს ჩამოჰკრეს და მთებს მოეფინა მწყემსური სიმღერა.

სულ მალე იქაურობა ღამის ბინდში გაეხვია. მოვიდა ის დროც, როცა მთელი დღე ჯაფით დაღლილ კაცს თბილი ლოგინი უხმობს, მაგრამ მეცხვარეს ღამეც კურდღლის ძილითა სძინავს, ზოგი ცხვარს უვლის გარშემო, ნადირს არ აკარებს. დილამდე ძილში ჩამესმოდა ,,ცხრაძმულას ხევისბერის“ ვაჟკაცთა ომახიანი შეძახილები.

ჯადოქარ მოხუცთან მიეშურებოდა. მოხუცს გრძნეული ვიოლინო უნდა გაეკეთებინა მისთვის.

აი, ქუჩა. შესახვევი. სახლი. მან სულმოუთქმელად აირბინა კიბეები და ზღაპრული სამყაროს კარებთან გახევდა...

ჯადოქარი მოხუცი ფანჯარასთან იდგა.

— გამარჯობათ! — ხმადაბლა მიესალმა მოხუცს მუსიკოსი.

ჯადოქარს ხმა არ გაუცია. მხოლოდ მაგიდის მხარეს გაიხედა.

— ო, ვიოლინო მზად ყოფილა!... — აღმოხდა მუსიკოსს.

„რა კარგია, მოხუცი ჯადოქრის ნახელავი ამიერიდან ჩემი იქნება!“ — გაიფიქრა მან.

ვიოლინო მაგიდაზე იდო. დაგრეხილ, ცხენისძუიან ქამანს კი მის მკერდზე მიესვენებინა თავი...

მუსიკოსი მაგიდასთან მივიდა...

— დაუკარით რამე... — ჩაილაპარაკა მოხუცმა. — გემუდარებით, დაუკარით რამე, — თვალმოჭუტული შესთხოვდა იგი.

ქამანი გასრიალდა სიმებზე. ვიოლინო ახლაღა მიხვდა მოხუცის მოწყენილობის მიზეზს:

— მშვიდობით, მეგობარო, მშვიდობით... — ჩაესმოდა ვიოლინოს მოხუცის სიტყვები. — შენ აქ დაიბადე, ამ პატარა სახელოსნოში, მაგრამ მალე წახვალ აქედან. შენ დიდ, ნათელ დარბაზებში ამღერდები... შენ იქ უამრავ თანატოლს შეხვდები. თქვენ ერთიმეორეს გაეჯიბრებით სიმღერაში. ერთი რამ იცოდეთ: თქვენ ყველანი კარგები ხართ. მთავარი კი ის არის — ვისი ხელი დაეპატრონება თქვენს ქამანს — ჯადოსნურ ბგერათა სამყაროს ოქროს გასაღებს... მშვიდობით, ჩემო კარგო, მშვიდობით...

— მშვიდობით!.. — სიმღერით დაემშვიდობა ვიოლინო.

გამოხდა ხანი. იმ საღამოს გრძნეული ვიოლინო კონცერტზე უკრავდა. დარბაზში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ყველას მოსწონდა ვიოლინოს მომხიბლავი სიმღერა. ხალხი აღტაცების ნიშნად ტაშს უკრავდა. ვიოლინო კი დამსწრეთა შორის მოხუცს დაეძებდა, მაღალ, გამხდარ მოხუცს, ვის თითებსაც დღენიადაგ ნეკერჩხლისა და მზის სუნი ასდიოდა. იგი დიდხანს ათვალიერებდა ხალხით გაჭედილ დარბაზს, მაგრამ ჯადოქარი მოხუცი ველარსად შენიშნა... და უეცრად ვიოლინომ მოიწყინა... ხმაში ნაღველი და სევდა შეეპარა. მაგრამ ხალხს მისი ნაღვლიანი სიმღერაც მოეწონა. დიდხანს, დიდხანს უკრავდნენ ტაშს...

...ჯადოქარი მოხუცი კი იმ საღამოს კვლავ ბედნიერი იყო. იგი ახლა სხვა ვიოლინოს აკეთებდა. თან რომელიღაც სიმღერას დუდუნებდა. სახელოსნოს ფანჯრებში, სადაც ზამთრის სუსხსა და ყინვაშიც კი ნეკერჩხლისა და მზის სუნი იდგა, ზღაპრული ვარსკვლავებით მოოჭვილი ზეცა ციმციმებდა...

თარგმნა მირონ ხერგიანმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა





დღითი დღე კეთილმოწყობილი ხდება საქვეყნოდ ცნობილი კურორტი ჯავა.

კ. ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრი ოსური კულტურის სიამაყეა

„თეთრი ქარავანი" ყიზლარის საძოვრებისკენ მიემართება.



ფერდებჩაჭვარდნილმა ჩალისფერმა ფაშატმა ყურები ცქვიტა, ბალახს თავი ანება, კისერი წაიგრძელა და დამრეცი მინდორი ხევამდე მოათვალიერა. მერე მთის ძირს გახედა, სადაც წამოხურული კლდე ეგულებოდა, და იქაც რომ ვერაფერი დაინახა, ისე მჭახედ დაიჭიხვინა, გეგონებოდა, სადღაც ახლოს ცამ დაიქუხაო.

ხევიდან, რომელშიც ღელე მოწანწკარებდა, ნისლისფერმა კვიცმა ამოყო თავი, დედას ჭიხვინით უპასუხა, მაგრამ ეს ჭიხვინი რომ ვინმეს გაეგონა, გაეცინებოდა, აქაოდა, მეც ცხენი ვარო. კვიცი ხევის პირა ფლატეზე ყვავილებში ჩაფენილ მწვანე, მაღალ ბალახს წიწკნიდა

# ქვიცი და მგელი

## ოტია იოსელიანი

მოთხრობა



და მის თვალწინ უშველებელი, ჭრელი პეპელა დასაჯდომად ყვავილებს ირჩევდა. კვიცმა ამ პეპელას ჩამოსდია ხევში და ახლა ფლატის მიტოვებას არ აპირებდა.

ფაშატმა გულმოსულად ჩაიხვიხვინა.

პეპელა ბაბუაწვერას ახლოს ეკლიანი ბალახის ფუნჩულა, წითელ ყვავილზე დაჯდა და ფრთები ზურგზე ისე შეიტყუპა, თითქოს ცალი ფრთით მოფრინდაო. კვიცს ერთი სული ჰქონდა, მიპარვოდა ამ ხატულას, დაეყნოსა. ეგონა, ასე საოცრად ლამაზს სუნიც რაღაც საკვირველი ექნებოდა.

მაღლიდან ისევ მოისმა ხვიხვინი და კვიცმა ისევ ასწია თავი, მწვანე ფერდობს გახედა, არაფრით არ ეთმობოდა ფლატე, მაგრამ ჭაკმა მიწას ტორი დაჰკრა.

კვიცმა ჯიუტად გაიქნია გრძელი კისერი, პეპელასთან მიირბინა, მაგრამ იგი თვალს და ხელს შუა გაუსხლტა. ხელმოცარული მოცხარის ბუჩქებს გაეხახუნა და ზევით აძოჭენდა.

ჭაკმა ბალახის ძოვა განაგრძო.

კვიცს პატრონის ვაჟი ქურანას ეძახდა. ქურანა მთლად მოლილისფრო-ნისლისფერია, მოლურჯო ფაფარი და კუდი აქვს. ულამაზო კვიცი აბა ვის გაუგონია, მაგრამ ქურანას ვინც კი დაინახავს, არ შეიძლება არ შეჩერდეს, თვალი არ გაახაროს. ჰო, თვალზე გამახსენდა, ქურანას თაფლისფერი, მწიფე ქლიავივით, დაბინდული კი არა, ხასხასა თვალები აქვს, მოშავო დრუნჩი და ქვიქვირი.

ქურანა მთლად მამის ფერისაა და მამასავით კისრის უკან გადაგდება, თავის მობრუნება და ჯიშიანი მკერდით წინწამოწეულს ჯირითი უყვარს. კვიცს ძალიან ეამაყება, რომ მამას ჰგავს. და თუ დედა მწყრალად დაუჭიხვინებს, როცა თვალთაგან დაეკარგება და მერე გაჯიუტებული შვილის დასათრგუნავად მიწას ტორს დაჰკრავს, ქურანა დედისკენ წამოვა, მაგრამ თავისთვის კი გაიფიქრებს: რას მიბაკუნებს ფეხს, მე ხომ მას სულაც არ ვგავარო. ფაშატი ამ დროს ძირში კვნეტს ბალახს და ფრუტუნებს.

კვიცი ჯვარედინად სერავს მწვანე ფერდობს, კორტოხის თავზე ავარდება, იქიდან მთისკენ დაეშვება, გადმოხურული კლდის ძირამდე ირბენს, იმას იქითაც უნდა შეუხვიოს, შეხვევა კი არა... იგი მიიხედ-მოიხედავს და ძალიან საიდუმლოდ გაიფიქრებს: — მთაზე ასვლაც უნდა, მაგრამ ეს რომ დედამ გაიგოს, ცის რისხვასავით დაიქუხებს. გულგატეხილი ქურანა ხევისკენ მითოხარიკობს, ფლატეს გადაჰყურებს, მაგრამ იქ პეპელა აღარ ჩანს. სამაგიეროდ, ღელის პირზე თოხიტარა ჩიტი ქექავს ქვიშას, ცმუკავს. ქურანას უნდა დაღმართი ჩაირბინოს, წყლამდე ჩავიდეს და ჩიტს ჰკითხოს, სად გაჰქრა პეპელა, მაგრამ იცის, ამისათვის ისევ ფეხს დაუბაკუნებენ და გაგულისებული ცილდება იქაურობას. თოხიტარაზე სწყდება გული. ეს ჩიტი ფერითაც ჩამოჰგავს ქურანას და მოუსვენრობითაც.

დაღლილ კვიცს რომ რძე მოუნდება, მაშინვე გული მოულბება დედაზე და ფიქრობს, რომ ის დედასაც ჰგავს, თუ მეტი არაფრით, დრუნჩით და ქვიქვირით მაინც.

დანაყრებული ქურანა მწვანე მინდორზე გორაობს გულაღმა, ზურგს ბალახებზე იფხანს, მერე წვება, თვლემს და ესმის, როგორ გლეჯს დედა ძირში ბალახს, დედა, რომელსაც ოდნავ ჩამოჰგავს ქურანა.

„ცხენისთვის წოლა შეუფერებელია“, — ფრუტუნებს ფაშატი.

კვიცი თავსაც მიწაზე დებს, ლოყას ბალახებზე უსვამს და ფიქრობს: „მე ალბათ მხოლოდ მამაჩემს ვგავარ“. თვალებს ლულავს და ახსენდება, იმ უშველებელმა და მშვენიერმა პეპელამ როგორ შეატყუპა ფრთები ისე, რომ გეგონებოდა ცალი ფრთით მოფრინდაო, მაგრამ დედა განა გაცლის, რომ ხეირიანად გაიგო მართლა ცალი ფრთით მოფრინდა თუ არა? თოხიტარასთან მიახლოებაც კი არ შეგიძლია, იმიტომ რომ ხევში ჩასვლის ნება არა გაქვს და მთის იქით რა ხდება, ამასაც ვერ დაინახავ. არადა, ფლატეზე მაღალი ყვავილები იზრდება, აგერ ქურანას წვივებზეც აჩნია ოქროსფერი ბაიების ყვითელი მტვერი, და პეპლებიც იქ ირევიან.

კვიცს დაბინდებისთანავე ჩაეძინა და, როცა დათაფლული, ხასხასა, ქლიავისფერი თვალები გაახილა, უშველებელი მთვარე ამოსულიყო. მინდორზე ნამი გაეგდო და ციოდა. ჰაკი მალი-მალ იღებდა თავს მაღლა, ფრუტუნებდა და მერე ისევ ძილში ბრდღვნიდა ბალახს.

„ახლა მაინც რისთვის ფრუტუნებს, — უკვირს ქურანას, — ახლა მაინც აგერ, მის ცხვირწინ ვწევარ, დედას რაღაც ეჩვენება, მოლანდებები აქვს“...

ფაშატს კვიცის ახლოს გადაეძოვა მინდორი, ახლაც იქვე, უკვე ძირზე გადაჭმულ ბალახს ჩასციებოდა.

„ვითომდა რაო, ცოტა წინ რომ წაიწიოს და მოიბალახოს, მე მარტო შემეშინდება? არაფერიც, მე სულ მამას ვგავარ“.

კვიცი წამოდგა, მაღალ წვივებზე აიმართა, შეციებულს ერთი კი გააძაგძაგა და ნაბიჯი გადადგა.

„ცოტა უნდა გავიქც-გამოვიქცე, გავთბები. გარდა ამისა, დედაჩემმა ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგოს, რომ მე ღამითაც არ მეშინია. ის კი დღითაც არ მიშორებს თვალთაგან და ისეთი მშვენიერი, დიდი, ფრთახატულა დავკარგე... ის პეპელა ისე ჩამრჩა გულში, თითქოს ჩემი ყოფილიყო, ნეტავ რას დავუჯერე, მაშინვე მივატოვე ფლატე. ნეტავ კარგად დამეძებნა, იქნებ მეპოვნა და ერთხელ მაინც დამეყნოსა“.

ქურანამ ისევ სასაცილოდ დაიჭიხვინა, კისერი მამასავით გადაიგდო, თავი გვერდზე მიაბრუნა, მკერდი წინ წასწია და გაჭენდა.

ფაშატმა ყურები ცქვიტა და დაიფრუტუნა: ამ შუაღამისას რა გაჭიხვინებსო.

„საოცარია — გაუკვირდა კვიცს — აბა რა, ვიგალობო? ბოლოს და ბოლოს, მე ცხენი ვარ თუ ჩიტი! დედაჩემს ეტყობა არ სიამოვნებს, რომ მე მამას ვგავარ“. — ისევ სასაცილოდ დაიჭიხვინა და გაიჯირითა.

ჰაკმა მიწას ტორი დაჰკრა. დაჰკრა უფრო ფრთხილად. ვინემ ამას დღისით აკეთებდა, მაგრამ უფრო მუქარით და გამაფრთხილებლად.

„ნეტავ რა უნდა ვქნა, ძაღლივით კუდზე ხომ არ უნდა დავჯდე და ვიყეფო?“.

ამ დროს ციცინათელა გამოჩნდა.

„რა მშვენიერია! — ქლიავივით თვალები გაუნათდა ქურანას და უკან გამოუდგა. ციცინათელა აანათებს, ჩაქრება, გაანათებს, ჩაქრება. „აი, ეს რომ დავიჭირო, — ფიქრობს კვიცი — ცხვირის ნესტოში რომ შევინახო, ან ყურში და ხვალ ფლატეზე ხატულა პეპელას მივუყვანო, უთუოდ მომცემს ნებას დავყნოსო. ის ისეთი დახატულია, ალბათ მთლად დამათრობელი სუნი ექნება. ციცინათელა უნდა დავიჭირო, ცხვირში შევინახავ და დილამდე ცალი ნესტოთი ვისუნთქებ. სამაგიეროდ, ხვალ ხატულა ორივე ფრთას გამიშლის და მე დავყნოსავ. რაც მართალია მართალია, მე მთლად მამას ვგავარ“.

ციცინათელა მიფრინავს, ანათებს, ჩაქრება, ანათებს და მისდევს კვიცი: ციცინათელა არასოდეს არ ეყოლება ნანახი ხატულა პეპელას. ის ღამე არ გამოდის და როგორ გაუკვირდება, რომ მივუყვან. ორივე ფრთას გაშლის, როგორც თვალხუჭუნა ყვავილი, და მე ერთბაშად შევისუნთქავ, რაც ქვეყანაზე ყვავილია, ყველას სუნს...

ფაშატმა ჩაიფრუტუნა.

„ღამით დედა არ ჭიხვინებს, მშიშარაა. მე კი მამას ვგავარ, გულადი ვარ... ამას გარდა, არაფერს არ ვაშავებ. ციცინათელა მინდა დავიჭირო და ხვალ...“

მინდვრის ბოლოში, ხევის პირზე, ორმა დიდმა, ძალიან დიდმა ციცინათელამ გაანათა, გაანათა და აღარ ჩაქრა.

„ეს უფრო დიდი საოცრებაა. ეს მეც ძალიან მომწონს!“ — ქურანა ჩირაღდნებისაკენ გაეშურა.

რის ციცინათელა! ხევის პირზე თვალებანთებული დიდი, რუხი ნაგაზი იდგა.

კვიცს პატრონის ნაგაზთან დიდი ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონდა. მართალია, ეს ძაღლი სხვა ფერისაა, მაგრამ ძაღლი ძაღლია — ერთგული და სანდო. ქურანა ახლა მიხვდა, რა მოწყენილი იყო მარტო, უმეგობროდ. მეგობრის ფასი რაა ამ ქვეყნად, მით უმეტეს, თუ ის ძაღლია.

„სად იყო ამ უკაცრიელ იალაღებზე ძაღლი?! — გაუკვირდა ქურანას. — მაგრამ ალბათ არც მას ჰყავს მეგობარი, მოეწყინა და დაიწყო ძებნა, იქნებ სადმე კვიცს გადავეყაროო. ძალიან კარგი, დედა ნაგაზთან თამაშს მაინც ვერ დამიშლის, პირიქით, გული იმედიანადაც კი ექნება. რა ჰქნას, დედაა. დედის გული სხვაა. მე ცოტათი დედასაც ხომ ვგავარ?“.

ძაღლი სულ ახლოს მოვიდა და ჩაცუცქდა.

„თვალები მეტისმეტად უბრიალებს. ალბათ გაუხარდა, რაკი შევხვდი, კუდსაც აქიცინებს და ნერწყვს ყლაპავს. მან ხომ არ იცოდა, რომ აქ მნახავდა? მოულოდნელი სიხარული ძნელია“.

ძაღლმა ქურანას ირგვლივ შემოუარა, ჰაერი დაყნოსა,

კვიცმა იფიქრა: „მოდი ახლა არ დავუჯერებ და მე და ძაღლი ციცინათელას დავიჭერთ. ეს მომეხმარება, იქნებ ცხვირის ნესტოში ჩავისვა და ხვალ დილით ფრთახატულას მივუყვანო“...

კვიცი მინდორში გაიქცა: აქეთ გამომყევი, ჯერ ციცინათელა დავიჭიროთო.



კვიცს მიელაქუცა. ძთლად ძაღლივით ვერ გამოუვიდა. მერე ხევისკენ წაიწია და შეჩერდა: აქეთ წამოდი, ღელის პირზე ვითამაშოთო.

კვიცმა დაიფრუტუნა: რატომაც არაო, და დაედევნა.

ძაღლმა ყურები დაცქვიტა და გაილურსა, თვალები კიდევ უფრო აენთო.

„ჩავიფრუტუნე, მეტი ხომ არაფერი დამიშავებია?! — გაუკვირდა ქურანას. — აბა ხომ არ უნდა დავიღრინო და კბილები გამოვაჩინო?“..

მინდვრიდან ჭაკის ფრთხილი ხვიხვინი მოისმა: მანდ რა საქმე გაიჩინეო.

ძაღლი მობრუნდა, კბილები გამოაჩინა, თვალები მთლად ნაკვერცხლებივით გაუხდა და გულმოსულმა ჩაიყმუვლა.

კვიცს შეაძაგძაგა. ასეთი ხმა პატრონის ნაგაზისგან არ გაუგონია, მაგრამ არ შეჩერებულა.

„რა ვუყოთ, ძაღლი ხან იყეფებს, ხან...“

ამ დროს ფერდობზე ისეთი გამაყრუებელი ჭიხვინი ატყდა და ისეთი თქარათქური მოისმა, კვიცს ეგონა, გავეშებული ცხენების მთელი რემა ჩემსკენ დაიძრაო.

„რა უბედური ვარ, ძაღლთან რომ ვითამაშო, ამის ნე-

ბაც არა მაქვს. დედაჩემს არ ვუყვარვარ, ალბათ მამას რომ ვგავარ იმიტომ“.

ფაშატი გულგახეთქილი ჭიხვინებდა და მისი ტორების ბათქისაგან მიწაც ზანზარებდა.

„ვაიმე! — აკანკალდა ქურანა. გაქცევა დააპირა. — ახლა დედას ხელში რომ ჩავუვარდე, ველარ გადავურჩები: გავიქცევი ამ ძაღლთან ერთად, ხვალ ორივე ფრთახატულას ვიპოვნით და ამ არემარეზე სულ არ გამოვჩნდები. ასე ფეხებშეკრული სიცოცხლე არ შემიძლია“.

ქურანამ სამი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ თავზე ძერასავით დააფრინდა ფაშატი და კბილები კისერში სტაცა. წიწილასავით აიტაცა. დასცხო და დასცხო მიწას ტორები. ერთ წამში მოჯეგა იქაურობა. ქურანას კი კისერი თითქმის სულ მოაჭამა.

„რისთვის, თუ არა კი, რისთვის. ძაღლთან თამაშისთვის ვძულვარ დედაჩემს ასე? ჩემი ბრალი ხომ არაა, რომ მამას ვგავარ. მამაჩემიც სძულს, მთელი საცხენეთი და საძაღლეთი, პეპლები და ციცინათელები. არაფერი არ უყვარს. რა უბედური ვარ, მგონი შეჭმასაც მიპირებს“.

კვიცმა გულსაკლავად დაიჭიხვინა და თვალები ქლიავივით დაებინდა. მერე მთვარის სინათლეზე ცრემლები ციცინათელებივით აუციმციმდა.



„გამიშვი!“ — დაიჭიხვინა ისევ გულსაკლავად კვიცმა და გაიწია, მაგრამ დედამ კბილი კიდევ უფრო ღრმად, კისრის ძვლამდე მოავლო და დატრიალდა. ფლოქვებით სულ გადათხარა ბალახი და შვილი მთისკენ წაათრია.

„დავიღუპე! — აფრუტუნდა გულამოგლეჯილი ქურანა. — იქ, გადმოხურულ კლდესთან, მიმიყვანს და შემჭამს. მშვიდობით ნოხივით გაგებულო, ყვავილებით მოჩითულო, მწვანე მინდორო, დედაჩემის რძესავით მსუყე და ბარაქიანო. მშვიდობით მაღალო კორტოხო. მშვიდობით მთაო, სულ რომ ვცდილობდი მუხლი გამემაგრებინა, შენს კენწეროზე ამოვსულიყავ და მზე ახლოს მენახა. მშვიდობით ხევო და ფლატევ, ბოლოქანქალავ და ფრთახატულა პეპელავ. ნეტავ ერთხელ მაინც დამეყნოსა შენთვის, ასე თაიგულივით ლამაზო. შენ მე კი არა, ჩემი ძვლებიც ვერ დაგივიწყებენ. მოდი ერთხელ ამ გადმოხურული კლდის ძირას და, ვიცი შენ ყვავილების მეტი არაფერი გწამს, მაგრამ ერთხელ, შენს სიცოცხლეში ერთხელ, ჩემს ძვლებზეც ჩამოჯექი...“

კვიცმა იგრძნო, რომ თავი ლოდს მიახალა კლდის ძირში და თვალთ დაუბნელდა...

არ გაუგია რა დრომ გაიარა. როცა მოსულიერდა, ამაზრზენი ყმუილი და გავეშებული დედის საზარელი ქშენა მოესმა. ფაშატი სცემდა და სცემდა წიხლებს მიწას და ჰაერს, მთას და მთვარეს, როცა კვლავ მოისმა გაბმული ყმუილი, კვიცმა გაიფიქრა: „მე ალბათ უკვე ძვლები ვარ, ლოდებზე დაყრილი ძვლები. მგლების ხროვა მასევია და ჩემს უმწიფარ, თოთო ძვლებს ხრავენ და ყმუიან“.

სიცოცხლეზე გული არ დაწყვეტია. გული დაწყდა ძვლებზე. ერთი დღე მაინც ეცლიათ, იქნებ ფრთახატულას გამოევლო, მას სისხლი და მძორი არ უყვარს, მაგრამ იქნებ ერთხელ, მის სიცოცხლეში ერთხელ, ძვლებზეც ჩამომჯდარიყო...

როგორც კი ინათა და დაოსებული, გაწბილებული მგელი ტყისაკენ წაძუნძულდა, ფაშატს კიდევ დიდხანს ეჭირა კბილით შვილი და მთელი სხეულით ძაგძაგებდა. მერე ქვედა ყბა ერთბაშად ჩამოუვარდა და ჩაიკეცა.

მზე რომ ამოვიდა, ცხენისთვის შეუფერებლად მწოლიარე ფაშატს კვიცი თავზე ადგა. დედის კბილებისაგან კისერზე გადენილ სისხლს და ჭაკის გავაზე მგლის ნაკბილარს ბუზი ეხვია.

ქურანა ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. მან გუშინდლამდე იცოდა, რომ სულ მამის ალი და კვალია და ქვეყნად იყო დედა, მწვანე ბალახი, ყვავილები, თოხიტარები და პეპლები, ციცინათელები და ფრთახატულა პეპელა.

ქურანას ჰყავდა მეგობარი ნაგაზი, რომელიც სანდო და გამტანია. ყურმოკრული ჰქონდა მგელზე, მაგრამ არ იცნობდა და არ იცოდა ძაღლისა და მგლის გარჩევა.

დღეიდან კი კვიცი იცნობდა მგელს.



მხატვარი ი. ქლიბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «ამხანაგი თავადი»

ოლგა რომანჩენკო

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ერთი პატარა სურათია გამოკიდებული, რომელსაც მიწერილი აქვს: „ივანე დიმიტრის ძე რატიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათესავი. ზამთრის სასახლეზე იერიშის დროს გმირულად იცავდა სახალხო ფასეულობას...“

ეს მცირე ცნობაც კი საყურადღებოს ხდის ამ ადამიანის პიროვნებას.

ვინ იყო ივანე რატიშვილი? როგორ მოხდა, რომ ზამთრის სასახლეზე იერიშის დროს მან უდიდესი ვაჟკაცობა გამოიჩინა სასახლის განძის დაცვაში და მეფის პოლკოვნიკი უსიტყვოდ გადავიდა იმათ მხარეზე, რომელთაც სასახლე უნდა აეღოთ?!

...პეტროგრადი. შემოდგომის რუხი ღრუბლებით შებურული ზეცა. იერიშისწინა საღამო... კოცონების ციალი... მდუმარება... დროდადრო სროლის ხმა...



ივანე რატიშვილი

ზამთრის სასახლის ერთ დარბაზში დროებითი მთავრობა იყო მოკალათებული. სასახლეს იუნკრები, კაზაკები და ქალთა ბატალიონი იცავდნენ... შენობის გასათბობად მოზიდული შეშით ბარიკადები აღიმართა. სასახლეს ალყა შემოარტყეს. მისი დარბაზები და დერეფნები დროებითი მთავრობის რაზმებით იყო სავსე. მათ შორის ერთი წარმოსადეგი პოლკოვნიკი მოჩანდა. ეს გახლდათ სასახლის დაცვის მმართველის მოადგილე, თავადი ივანე დიმიტრის ძე რატიშვილი, ანუ, როგორც მას იქ მოიხსენიებდნენ, — პოლკოვნიკი რატიევი. ოფიცრები და კაზაკები გაკვირვებულნი იყვნენ იმისი მითითებებით, ბრაზი მოსდიოდათ, ვერ გარკვეულიყვნენ საქმის ვითარებაში. თავადი რატიევი მიუთითებდა, სასახლე არ უნდა დაიცვათო და უმტკიცებდა: უფლება არავის აქვს, ეს შენობა ციხე-სიმაგრედ გადააქციოს, რადგან აქ ხელოვნების იშვიათი ქმნილებები და ხალხური შემოქმედების დიდძალი განძეულია თავმოყრილიო.

— ბატონო პოლკოვნიკო, — უპასუხებდნენ მას, დღეს მთელი ჩვენი დედარუსეთი ციხე-სიმაგრე არ არის?!

ზოგი მკვახედ ეკამათებოდა:

— უკაცრავად, თქვენ ვისი სახელით გვიქადაგებთ? ჩვენ უჭკუოების ფეხის ხმას ვერ ავყვებით.

ივანე რატიშვილი კი სულ სხვანაირად სჯიდა, რასაც მხურვალე მოქმედებით გამოხატავდა.

იმისი უფროსებიდან ერთიც აღარ იყო ადგილზე, აქეთ-იქით მიიმალნენ. ალბათ, იგრძნეს, რომ თავად ისტორიამ ჩამოართვა მათ ყველა სამსახურებრივი მოვალეობა.

ყოველდღიურმა საქმემ ივანე რატიშვილისაგან მთელი სულიერი ძალების მოკრება, ვაჟკაცობა და გმირობა მოითხოვა და იმანაც არ დაზოგა თავი. იმ დათვლილ საათებში, გახურებული ბრძოლისა და ბათქა-ბუთქის დროს, სასახლეზე იერიშის დაწყებამდეც და მერეც, ივანემ, რაც კი შესაძლებელი იყო, თავს იდო სასახლის შინაგანი წესრიგის დაცვა. მისი კეთილი სამსახური იმით გამოიხატა, რომ თავისი ვაჟკაცური შემართებით მხარი აუბა ზამთრის სასახლეზე მოიერიშე წითელი გვარდიის მძლავრ, დარაზმულ ძალას. ამ დიდი ისტორიული ქარტეხილის დროს ზამთრის სასახლე სულ უმნიშვნელოდ დაზიანდა, რაც შემთხვევითი არ იყო.

ვიდრე იერიშის ხელმძღვანელები სასახლის უვნებელ აღებაზე ბჭობდნენ, ივანე რატიშვილი შიგნით მოქმედებდა. რამდენიმე ოთახში, რომელთაც ფანჯრები მოედნის მხარეს ჰქონდა, ლაზარეთი გახლდათ. იქ მსოფლიო ომის ფრონტზე დაჭრილი ვაჟკაცები იწვნენ. სროლა თუ ატყდებოდა, ამ ვეებერთელა ფანჯრების მინები მთლად ჩაიმსხვრეოდა. ამიტომ ივანემ დაიხმარა რამდენიმე ჯარისკაცი, თავისი შვილი, პაჟთა კორპუსის კურსანტი დიმიტრი, და დაჭრილების საწოლები შიგნითა, უფანჯრო ოთახებში გადაიტანა. მათ ხელი წაახმარეს ექიმებმა, მოწყალების დებმა, სანიტრებმა...

ივანე რატიშვილმა ერთი ჯარისკაცი სამზარეულოში გაგზავნა. იმან, როგორც იყო, მიაგნო სამზარეულოს და ერთი ვედრო შეჭამანდით დაბრუნდა. ხელად, დიდი ამბით ჩამოარიგეს სახელდახელო ვახშამი. სასახლის განგაში სიმშვიდემ შეცვალა. ერთმა ჯარისკაცმა პატივისცემით მოიხსენია პოლკოვნიკი რატიევი,

რომელიც მარტო თვალტანადობით კი არა, სულითაც ლამაზი გამოდგა. ჯარისკაცმა მოიგონა ერთი შემთხვევაც, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებდა ივანეს კარგ კაცობას.

...ცხენოსან ჯარს მდინარე შემჭიდროებული მწყობრით უნდა გადაელახა. შედგეს თუ არა ფეხი წყალში, წყალმა აიწია. ზოგიერთი ჯარისკაცი ცხენს მოსხლტა. ვინც ცურვა არ იცოდა, უმწეოდ იქნევდა ხელებს. ზოგი მათგანი სულ ახალი გაწვეული იყო, პირზე ჯერ დედის რძეც არა ჰქონდა შემშრალი. რატიევი მაშინვე წყალში გადაეშვა. იმ დროს პატარა ჩინის კაცი იყო; რვა ჯარისკაცი იხსნა დახრჩობისაგან, მეცხრე რომ გამოჰყავდა, ცოტა არ იყოს, ძალამ უმტყუნა, კინაღამ წყალმა ისიც არ წაიღო, მაგრამ ბედზე ცხენმა მისცურა მასთან, ივანემ ფაფარში ხელი ჩაავლო და, იმ მეცხრესთან ერთად ნაპირზე მშვიდობით გამოვიდა.

ივანე რატიშვილის გამოჩენაზე მთხრობელი გაჩუმდა.

პოლკოვნიკს თავისი ხელქვეითების დახმარებით ძვირფასი, ფაქიზი ნივთები სასახლის უფრო საიმედო შენობაში, ეგრეთწოდებულ საგანძურში, გადაჰქონდა, რომ არ გაოხრებულიყო ოქროს, ფაიფურისა და სპილოს ძვლის წმინდა და ნატიფი ნაკეთობა...

მაგრამ ამ საგანძურში მთელი ფასეულობის მხოლოდ ერთი ნაწილი მოთავსდა, დანარჩენი ივანემ კარებთან დატოვა, მცველად ორი ჯარისკაცი და თავისი ვაჟი მიუჩინა, თვითონ კი ისევ უკან გაბრუნდა.

ის ხანმოკლე დრო, რომელიც ბოლშევიკებმა დროებით მთავრობას სულისმოსათქმელად დაუთმეს, — ამოიწურა, მაგრამ დროებითი მთავრობა სასახლეს მაინც არა ტოვებდა და არც დაცვას ხსნიდა.

შეტევა დაიწყო! ზამთრის სახახლე პირველმა გასროლამ შეაზანზარა. ერთი კედელი გაიხვრიტა, ცხელი ნამსხვრევები იატაკზე მიმოიფანტა.

ისტორიამ შემოგვინახა დროებითი მთავრობის წარმომადგენელთა საუბრების ნაწყვეტები. მათ, საკუთარი ჭიის გასახარებელ ვაჟკაცობას რომ ამჟღავნებდნენ, თავი მოჰქონდათ თავიანთი ბრმა გამბედაობით, რასაც თვითონვე ეწირებოდნენ. ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რას დაკარგავდა რუსი ხალხი, თუ ზამთრის სასახლე დაინგრეოდა.

ივანე რატიშვილმა დერეფანში ერთი ოფიცერი შეაჩერა და გამოელაპარაკა.

— ბოლოს და ბოლოს, გაიგეთ და შეიგნეთ, — მიმართა მან, — რომ არავისა აქვს უფლება გაკადნიერდეს და რუსეთის მთელი ეს განძი ქარს გაატანოს. ეს კი შესაძლებელია მოხდეს ერთი მუჭა ადამიანების უაზრო წინააღმდეგობის წყალობით.

— ,,ერთ მუჭა ხალხს" თქვენ ჩვენს კანონიერ ხელისუფლებას უწოდებთ, რომელსაც ერთგულება შევფიცეთ? — შეჰღრიალა ოფიცერმა. მათს გარშემო უმალ იუნკრები და კაზაკები შეგროვდნენ. ისინი დაძაბულნი უგდებდნენ ყურს კამათს. ივანე რატიშვილმა ოფიცერს ზურგი შეაქცია და მწვანე დარბაზისაკენ გასწია.

ამ დარბაზში, გალიაში გამომწყვდეულებივით აქეთ-იქით მიდი-მოდიოდნენ დროებითი მთავრობის დაბნეული მინისტრები და მათი დამქაშები. იმათ აღარავინ ემორჩილებოდა ზოგიერთი უგუნურის გარდა. მაგრამ წყალწაღებულნი ხავსს ეჭიდებოდნენ და არ ეთმობოდათ ისედაც შემთხვევით ხელში ჩაგდებული ძალაუფლება.

ივანე გაბედულად მივიდა ერთ მინისტრთან, რომელსაც ხელები ზურგზე შემოეწყო და კედლის გასწვრივ დაძმარებული ბოლთას სცემდა.

— თუ მოხდა და მართლა გაჩაღდა ბრძოლა, — მიმართა მან მინისტრს საკითხის განხილვის წესით, — თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო მინისტრო, რა მოელის ზამთრის სასახლეს?

მინისტრს მიმკვდარებულ სახეზე გამოცოცხლება დაეტყო. ის გენერლისაკენ შებრუნდა, გაბრაზებული გენერალი თითებს ფანჯრის მინაზე ათამაშებდა.

— მართლაცდა, გენერალო, რა ეშველება ჩვენს თავშესაფარს, — სიტყვა ,,ჩვენს" ისე უგულოდ წარმოთქვა მინისტრმა, რომ ივანე რატიშვილმა უნებურად თავი დახარა, — თუ ,,ავრორა" ცეცხლს გახსნის?

— ის ეშველება, რომ ნანგრევების გორად იქცევა. — გენერალს სიბრაზისაგან ყბები აუცახცახდა. — ,,ავრორას" მაღალი კოშკურები აქვს. შეუძლია ისე გაანადგუროს სასახლე, რომ ირგვლივ არცერთი შენობა არ დააზიანოს. ზამთრის სასახლე საამისოდ მოხერხებულად დგას, კარგად ამოვა მიზანში.

გენერალმა და მინისტრმა კმაყოფილებით შეხედეს ივანეს, ეგონათ ის ქებას შეასხამდა განსაცდელის დროს გამოჩენილ მათს ვაჟკაცობას.

პირველი გასროლის შემდეგ, რომელიღაც მათგანმა ხელში ცხელი ნამსხვრევი აიღო და წარმოთქვა: — იშვიათი საფერფლეა, თქვენ რას იტყვით, ბატონებო?

ეს ნირწამხდარი ვაჟკაცობა და უკბილო ხუმრობა გახლდათ. იმ წუთებში თუ ამ განწირულთაგან ვინმე აღმოჩნდა, ვისაც რწმენამ არ უღალატა და ნამდვილი ვაჟკაცობა გამოიჩინა, დონსკოის, ნეველის, სუვოროვისა და ბაგრატიონისთანა ვაჟკაცობა, — ეს იყო ივანე რატიშვილი და ის ერთი მუჭა ჯარისკაცები, რომელნიც ერთგულად დადგნენ სახალხო ქონების დაცვის სადარაჯოზე. ზამთრის სასახლის ხანმოკლე, გმირული იერიში დამთავრდა. მეფის მთავრობის ყოფილი პოლკოვნიკისა და ბოლშევიკი მეზღვაურების შეხვედრა იმ წუთებს დაემთხვა, როცა განრისხებული ივანე რატიშვილი ორ კუდამოძუებულ იუნკერს იარაღს ჰყრიდა. მათ ჰაიჰარად ამოევსოთ ჯიბეები ძვირფასი ნივთებით. მეზღვაურები სიცილითა და გაოცებით შეჰყურებდნენ ამ სცენას, მერე კი ივანე რატიშვილის თხოვნით ისინი თავიანთ კომისარს მიჰგვარეს. დაღლილ-დაქანცული იყო კომისარი, სახეზე ოფლს იწმენდდა და შუბლქვემოდან შეჰყურებდა ოქროსსამხრეებიან კაცს.

ივანე რატიშვილის უკან ერთი წვერმოშვებული ჯარისკაცი იდგა, იმ დაჭრილთაგანი, რომლებიც წეღან ივანემ სასახლის უშიშარ ადგილზე გადმოიყვანა. ეს ჯარისკაცი მეზღვაურებს აედევნა და უნდოდა პოლკოვნიკზე ერთი-ორი კაი სიტყვა ეთქვა.

— შენ ეი, წვეროსანო! — კომისრის სახეზე ყმაწვილური ღიმილი ათამაშდა, — მე ვხედავ შენ აქ უკვე მოგისწრია და ვექილის პროფესია შეგიძენია. პირობას გაძლევ, თუ საგანგებო სხდომას მოვიწვევ, შენც მოგიპატიჟებ, ახლა კი ცოტა გვაცალე. — კომისარმა პოლკოვნიკს შეხედა და ირონიით ჩაილაპარაკა: — თქვენ მამაცი ადამიანი ჩანხართ... ახლავე ჩავიბარებთ ამ საგანძურს. იმედი მაქვს, დამეხმარებით დამცველი რაზმის განლაგებაში. ხომ იცით, რაც არ უნდა იყოს, ახალი საქმეა...

4 ნოემბერს ზამთრის სასახლის სახალხო კომისრის ა. ვ. ლუნაჩარსკის ბრძანებით (,,ცნობები ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატებისა" № 217) ივანე რატიშვილს საბჭოთა ხელისუფლებამ დაავალა სასახლის დაცვა იმ სისტემით, როგორადაც დადგენილი იყო ოქტომბრის რევოლუციამდე.

თავად რატიევის მიმართ მადლობას გამოთქვამს ა. ვ. ლუნაჩარსკი თავის გაფართოებულ ბრძანებაში: ,,მივაქციოთ უმკაცრესი ყურადღება ზამთრის სასახლის შიდა დაცვას". (,,იზვესტია" № 218).

ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ივანე რატიშვილი სმოლნში გამოიძახა და დაავალა რესტავრატორების მოწვევა, რათა დაუყოვნებლივ წაეშალათ ზამთრის

სასახლის დაზიანების კვალი. საბედნიეროდ, სასახლე ,,ავრორას‘‘ მხოლოდ ოდნავ დაეზიანებინა.

უდიდესი ტაქტით ვლადიმერ ილიას ძემ საუბარი დაიწყო იმ უდიდეს საგანძურზე, რომელსაც ამიერიდან მშრომელი ხალხის სულიერი ცხოვრება უნდა გაემდიდრებინა. სულ მალე საბჭოთა ხელისუფლება იმაზეც იზრუნებდა, რომ ხელოვნების ამ საგანძურის ხილვა თითოეული ადამიანისათვის მისაწვდომი ყოფილიყო.

ივანე რატიშვილმა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას სხვა ბევრი მნიშვნელოვანი სამსახურიც გაუწია. პეტროგრადში, გატჩინოში ეხმარებოდა სამხატვრო ისტორიულ კომისიებს, რომლებიც ამოწმებდნენ და აღწერდნენ მთელ ქონებას, ადგენდნენ კატალოგებს.

ივანე რატიშვილი ერთი იმათთაგანი იყო, ვინც პეტერბურგიდან მოსკოვში მიმავალ მატარებელს იცავდა, რომელსაც სახელმწიფო ბანკის სათადარიგო ოქრო გადაჰქონდა. ასეთი დავალება ყველა დროს პასუხსაგებია, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, ეს პასუხისმგებლობა რამდენად დიდი იქნებოდა იმ აფორიაქებულ წლებში, როცა ნიადაგი მზადდებოდა სამოქალაქო ომისთვის, როცა მთელ რუსეთში კონტრრევოლუციური ბანდები იყო მიმოფანტული.

სახალხო ქონებისათვის თავდადებული მზრუნველი ივანე რატიშვილი რევოლუციას შუახნის ასაკში შეხვდა.

წითელგვარდიელებმა და მეზღვაურებმა ზამთრის სასახლეზე გახურებული იერიშის დროს ივანე ,,ამხანაგ თავადად‘‘ მიიჩნიეს, თუმცა მხრებზე ჭირივით საძულველი მეფის პოლკოვნიკის სამხრეები ეკეთა.

მისი პირადი ცხოვრება არ იყო მშვიდობიანი: სულ მოკლე დროში დაკარგა საყვარელი მეუღლე და შვილი დიმიტრი, რომელიც ბანაობის დროს წყალში დაიხრჩო. მწუხარებამ ჯანი გაუტეხა ივანეს, წლების მანძილზე სავარძელს იყო მიჯაჭვული, მაგრამ ასეთი მძიმე ავადმყოფიც არასოდეს არ იყო მარტო.

,,ამხანაგმა თავადმა‘‘ ჩვენ დრომდე მოიტანა ისეთი მეგობრობისა და ერთგულების ტრადიციები, რაც მრავალი წლის მანძილზე აკავშირებდა რუსეთისა და საქართველოს საუკეთესო შვილებს. ამჟამად ქალაქ თბილისში, საბურთალოზე, ცხოვრობს ერთი ოჯახი — გვარად ლვოვი. ოლღა რატიშვილი-ლვოვა ივანეს შვილია, ეკა ლვოვა კი შვილიშვილი. მათი ბინა მუზეუმი გეგონებათ, იმდენ რელიკვიას ნახავთ იქ. მაგიდაზე დევს დიდი მხედართმთავრის მეფე ერეკლე მეორის პატარა პორტრეტი. რუსეთთან მტკიცე კავშირი ბრძენმა მეფემ ანდერძად დაუტოვა შთამომავლობას. აქვე ნახავთ ალექსანდრე გრიბოედოვის პორტრეტს, მას გვერდს უმშვენებს სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სურათი. ეს ისტორიული პირები ამ ოჯახის უახლოესი ნათესავები და მეგობრები იყვნენ. ივანეს ავადმყოფობის დროს სტუმრის ფეხი არა წყდებოდა ამ ოჯახში. ვინ აღარ მოდიოდა მასთან სანახავად: მსახიობები, კეთილმოსურნე ადამიანები. ივანეც ტკბილად ესაუბრებოდა მათ. მე თქვენ გეტყვით, სათქმელი და საამბობელი შემოაკლდებოდა!

ვინ იყო ივანე რატიშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძისა? რატომ არის მისი სურათი პოეტის სახლ-მუზეუმში გამოფენილი? ის სიძე იყო ალექსანდრეს შვილიშვილის თამარისა (დავითის ასული), ეკატერინე ბაგრატიონის მეუღლე.

თარგმნა ქეთევან ჭილაშვილმა.

---

გ. მეზურიშვილი

●

მე, — დამხობილი იბერიის
ნაგვემ სხეულზე,
ქართველი კაცი,
რომ იტყვიან, სულით ხორცამდე,
ამ ქვეყანაზე მაცხოვრებელ
ყველა კაი კაცს
ვგავარ:
სამშობლოს,
დედისა
და
მზის სიყვარულში.

## ალიონი

მიწაზე ჯერ არ წაქცეულა
არცერთი ჩრდილი,
ოეთრი ნისლები
შრიალებენ მთებზე ბაფთებად;
ისე ლამაზად
და თანდათან თენდება დილა,
მგონია, თითქოს
გრილი ზღვიდან ცა იბადება.

●

მიედინება კორისწყალი
ფიცხი დინებით,
ქარს ბუხრის კვამლი
უზარმაზარ კუდივით მისთრევს...
გადმოფრთხიალდნენ ღრუბლებიდან
მუქი ჩრდილები
და შაშვებივით დააფრინდნენ
ტყეებს და მინდვრებს.
ვუახლოვდები
ნაბიჯ-ნაბიჯ სალომინაოს,
წინ მისწრებს ფიქრი —
ერთადერთი ჩემი მხლებელი...
წაბლისფერ ქორებს
გაუმართავთ ცაში ირაო
და შუკებიდან
გამორბიან მოგონებები.

## ზამთრის ზღაპარი

ლ. გახარია

ბებო, მოქსოვე ზღაპარი —
ნაცარქექიას დავუგებ,
ცეცხლთან დავაწვენ თბილადა
გულის ტკივილებს გავუგებ.
დავულბობ გამხმარ ქალამნებს,
ხურჯინს ავუვსებ ღადარით, —
გალმა გარეკოს ჭინკები
ფეხით გათელოს ზამთარი.
ტყიდან მოზიდოს ფიჩხები,
ქარს შეაყაროს ნაცარი... —
ბებო, მოქსოვე ამაღამ
ერთი ქართული ზღაპარი.





## საჰარაში სამხრეთ პოლუსი?!

საჰარაში ყინვარის ნაკვალევი იპოვნეს! უკიდეგანო უდაბნო ოთხასი მილიონი წლის წინათ თურმე ყინულით ყოფილა დაფარული. საერთაშორისო გეოლოგიური ექსპედიციის ეს აღმოჩენა კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია ვარაუდისა, რომ სამხრეთ პოლუსი ოდესღაც საჰარაში იყო.

## ძნელი ყოფილა გოლიათის ხვედრი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მკვიდრი ჯონ კამუანგა თავის თავს ამ ქვეყნად ყველაზე უბედურად სთვლის: მთელი თავისი სიცოცხლე, იმ არემარეში სიანჩხლით ცნობილი დედინაცვლის გვერდით უნდა გაატაროს, რადგან სხვა მხარეში საცხოვრებლად გადაბარგებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. იმის გამო, რომ მისი სიმაღლე 2 მეტრი და 75 სანტიმეტრია, კამუანგა ვერ სარგებლობს მატარებლით, ავტომობილით, მოტოციკლით და თვით ველოსიპედითაც კი...



## ვინ აკაკუნებს კარზე?..

აბა რა გემო უნდა ჩაატანო არდადეგებს, თუ დღეში ორჯერ გიწევს ფოსტის დარიგება? სწორედ ასეთ დღეში იყო ბობი დიკენი — ამერიკის ქალაქ ნიუ-პორტის ერთ-ერთი საფოსტო განყოფილების უფროსის შვილი. რარიგ სწადდა ბობის, დილით ერთი-ორი ზედმეტი საათი ლოგინში ენებივრა, საღამო კი ბეისბოლის მოედანზე გაეტარებინა! და აი, ყმაწვილს დახმარების ხელი გაუწოდა თავისმა საყვარელმა პინგვინმა გუსტავმა, რომელმაც სწრაფად დაიხსომა ყველა ხელმომწერის მისამართი. მართალია, პირველ ხანებში ზევრი საყვედურიც მოისმინა: ახალი ფოსტალიონი ისე ნელა მიტაატობდა თავის გზაზე, რომ დილის გაზეთებს მხოლოდ ნასადილევსლა იღებდნენ ხელმომწერნი. მაგრამ ბობის ფარხმალი არ დაუყრია. მან გუსტავს გორგოლაჭიანი ციგურებით სრიალი ასწავლა, და საქმეც გაიჩარხა. ერთი-ორი და... ფოსტა უკვე ბარდება ადრესატს! ახლა ორივე კმაყოფილია: ბობს ბევრი თავისუფალი დრო რჩება, გუსტავი კი „მსოფლიოში პირველი ფოსტალიონი პინგვინის" საპატიო ტიტულის მქონეა.

## რით მოკვდა ტუტანჰამონი?

ტუტანჰამონი ეგვიპტის ფარაონი ათი წლის ასაკში გახდა. 19 წლისა გარდაიცვალა. ეს მოხდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1352 წელს. აქამდე ასე ეგონათ, იგი ქრონიკულმა ავადმყოფობამ იმსხვერპლა. მაგრამ ამას წინათ ინგლისელმა მეცნიერმა ანატომებმა გულდასმით გამოიკვლიეს ტუტანჰამონის მუმია და დაასკვნეს, რომ ეს ფარაონი თავში რაღაც მჭრელი საგნის დარტყმით არის მოკლული. ამას მოწმობს მარცხენა ყურთან აღმოჩენილი თავის ქალას გატეხილობა.

## რა არ უყვართ სპილოებს?

ამ კითხვას ყველაზე ამომწურავად უპასუხებს ცეილონის ეროვნული პარკის — „რუხუნას" დირექციის მიერ გამოცემული სამახსოვრო. რადგან ამ ზოოპარკში სპილოები გალიების ტყვენი კი არ არიან, არამედ თავისუფლად დასეირნობენ, სამახსოვრო დამთვალიერებლებს ურჩევს დაიხსომონ, რომ ეს ცხოველები ვერ იტანენ: ჭრელ-ჭრულა ტანისამოსს; ბრიყვებს, რომლებიც მათ გზას არ დაუთმობენ; მომაბეზრებელ ცნობისმოყვარეობას დასვენების საათებში; სულელურ დაცინვას სპილოს ვითომდა მოუქნელობის გამო, განსაკუთრებით, თუ ამ დროს მისკენ თითს იშვერენ; ყველაზე უფრო კი — ტრანზისტორის ღრიალს, რომელიც მათს ნერვებზე მოქმედებს.

რამდენადაც სპილოს ხასიათის თავისებურება ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ცნობილი, სამახსოვრო დამთვალიერებლებს იმასაც ურჩევს, არ გამოვიდნენ ავტომანქანებიდან.



## ქვის ღრუბლები

ამერიკელმა ასტრონომებმა ამას წინათ აღმოაჩინეს დედამიწის გარშემო მოძრავი ორი ქვის ღრუბელი. ისინი მთვარის მიზიდულობას ემორჩილებიან და ამ პლანეტის მიმართულებით მოძრაობენ. ასტრონომების ფიქრით, ქვის ღრუბლები სამყაროს სხვადასხვა უბნიდან წამოსული მყარი ნაწილაკებისაგან შეიკრა და, შესაძლოა, მათში დედამიწის წარმოშობის, აგრეთვე სხვა პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის საიდუმლოება იმალება. ქვის ღრუბლები იმდენად პაწაწინებია, რომ ფოტოსურათებზე ძლივს შეამჩნევს თვალი.

## პალმების ნაცვლად ტაიგა

ორმოცდაათი ათასი წლის წინათ შავი ზღვის ნაპირებთან ტაიგა ხმაურობდა, — ამ დასკვნამდე მივიდა საბჭოთა არქეოლოგი ვ. ლიუბინი, როცა მან სოჭის მახლობლად ზედა პალეოლითის ადამიანის სადგომები გათხარა. მკვლევარმა მიწის კულტურულ ფენაში აღმოაჩინა წიწვიან მცენარეთა ნამცეცები, რომელთა ანალიზმაც აჩვენა, რომ აქაური მცენარეულობა ჩრდილოეთ ტაიგისას ჰგავდა, თანაც შავი ზღვის სანაპიროს ჰავა თვით ადამიანის თვალწინ რამდენჯერმე შეიცვალა. იყო ისეთი პერიოდიც, როცა აქ ერთი ხეც კი არ მოიძებნებოდა, რადგან კავკასიონის ყინვარები ზღვის დონიდან 600-700 მეტრამდე იყო ჩამოშვებული. დიდი გამყინვარების ხანაში შავი ზღვისპირეთის ჰავა დიდი სიმკაცრით გამოირჩეოდა, ხოლო შედარებით ახლო წარსულში სუბტროპიკული მცენარეები ბარენცისა და თეთრი ზღვების ნაპირებზე ხარობდა.

## ნიანგების „მარულა"

ისტორიაში ნიანგების პირველი „მარულა" გაიმართა ავსტრალიის ულამაზეს კურორტ კერნსში. სახელდახელო იპოდრომად ჩოგბურთის მოედანი გამოიყენეს. „მარულაში" 15 სანტიმეტრიდან 2 მეტრამდე სიგრძის 86 ნიანგი მონაწილეობდა. თუმცა შეჯიბრების წესებს მკაცრად იცავდნენ კვალიფიციური მსაჯები, ცხრა ნიანგს მეტოქეებმა მაინც წააკვნიტეს კუდი და თათები. ფინიშთან პირველი მივიდა 120 სანტიმეტრი სიგრძის ნიანგი, სახელად „კაზანოვა".



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რუბრიკით ბუნების მოყვარულნი წაიკითხავენ საინტერესო ამბებს: რა ცხოველებით იყო დასახლებული წინათ ჩვენი პლანეტა, რომელი სახეობა გადაშენდა, რომელს ემუქრება ეს საშიშროება და რას აკეთებენ მეცნიერები მათ გადასარჩენად; რა სარგებლობა მოაქვს ამა თუ იმ ცხოველს ან ფრინველს, როგორია მათი ცხოვრების ნირი, როგორ ნადირობდნენ თოფის გამოგონებამდე...

გესაუბრებით ჩვენი ქვეყნის ნაკრძალებზე, არქტიკის თეთრ დათვებზე, „სუპერკატებზე", ნიანგზე, რომელიც ასი წელი ცოცხლობს და სიცოცხლის დასასრულამდე სულ იზრდება და იზრდება, და იმაზეც, რომ არისტოტელეს დროს (III საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) მხოლოდ 454 ჯურის ცხოველი იცოდნენ, დღეს კი — მილიონნახევარი სახეობაა ცნობილი და ვარაუდობენ, რომ 2 მილიონამდე ჩვენთვის უცნობი სახეობაც არსებობს.

იმასაც შეიტყობთ, თუ როგორ იშინაურებენ ქვეწარმავალს.

იაპონიაში დღესაც ამზადებენ 3-4 კერძს გველის ხორცისაგან.

განყოფილებაში — „როგორ მოვაწყოთ ცოცხალი კუთხე" გირჩევთ სკოლაში ან ოჯახში როგორ მოუაროთ აკვარიუმს და სხვ.

დღეს გთავაზობთ ამ ციკლის ერთ-ერთ მოთხრობას.

## ბუნების კარი

# ტორტილას შვილიშვილები

მრავალ ხალხს კუ მშვიდ, დინჯ ცხოველად წარმოუდგენია. საიმედო ჯავშნით აღჭურვილი, მცენარეული საკვების მოყვარული ხმელეთის კუ, მართლაც რომ მშვიდად ცხოვრობს. მაგრამ კუს მრავალ ჯიშს შორის (ითვლიან 250-მდე ჯიშს) ძალზე მკვირცხლი სახეობაც გვხვდება.

ამურისა და უსურიის დაბლობებზე, ხანკას ტბაზე, ცხოვრობს ფრიად საყურადღებო წყლის კუ — ტრიონიქსი. მას, თავის თანამოძმეთაგან განსხვავებით, ჯავშანი არ გააჩნია, ამიტომ რბილკანიანს უწოდებენ. იგი სხარტია და ფრთხილი — მოახლოებული საშიშროების შემჩნევისთანავე უმალ წყლისკენ მიექანება და თვალისდახამხამებაში ქვიშაში ძვრება. თუ დაიჭერენ, მთელი სხეულით იკლაკნება და მწარედ იკბინება, თუ გულაღმა დააგდებთ, წამსვე წამოვარდება და გარბის.

ტრიონიქსის დაჭერა (მას ძალზე გემრიელი ხორცი აქვს) ძნელია, მისი მონათესავე გიგანტები: მწვანე კუ, სპილოსებრი კუ და სხვანი, ადრე გადაშენდნენ, რადგან მათ, ტრიონიქსის მსგავსად, მაგარი ჯავშანი არა ჰქონდათ.

ასეული წლების მანძილზე კუ მეზღვაურებისთვის „ცოცხალი კონსერვი" იყო. კოლუმბის მეზღვაურები საჭმელს, თავიანთ აღმოჩენილ კუს (გალაპოგოსის) კუნძულებზე იმარაგებდნენ. მაცივარი არ სჭირდებოდათ. გემბანზე გულაღმა დაგდებული კუ რამდენიმე თვე ცოცხლობდა. მრავალი ქვეყნის ფლოტის რაციონში თითქმის სამასი წლის მანძილზე კუს ხორცი ძირითად პროდუქტად ითვლებოდა, სანამ მტაცებლურმა განადგურებამ გადაშენებამდე არ მიიყვანა ეს სასარგებლო ცხოველი.

ზღვის კუ დაუცხრომელი მოგზაურია. სამხრეთის ზღვებიდან ჩვენს შორეული აღმოსავლეთის წყლებშიც შემოცურდება ხოლმე. მას უყვარს წყალქვეშა საძოვრები და ათასობით კილომეტრსაც არ ერიდება, ოღონდ წაიბალახოს. უკან კი უმოკლესი გზით ბრუნდება, დღეღამეში 40-50 კილომეტრს გადის.

ესეც თქვენი „კუს ნაბიჯი"!

მეცნიერები ახლა სამხრეთის განედებზე მცხოვრებ კუს ძვირფასი ჯიშების დაცვისა და გამრავლების პრობლემებზე მუშაობენ.

მოზრდილი კუ 100 კილოგრამამდე საუკეთესო, დიეტურ ხორცს იძლევა,



გემოთი, თურმე, ირმის ხორცსა ჰგავს, მაგრამ უფრო წვნიანი და გემრიელია.

დედალი ზღვის კუ ერთ ჯერზე ორას კვერცხს დებს, მის კვერცხს საკონდიტრო საქმეში ბადალი არ მოეპოვება.

ახალგამოჩეკილი კუ კაპიკიანის ან შაურიანის ოდენაა, მაგრამ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე (ისინი ასობით წელიწადს ცხოვრობენ) ზოგი მათგანი 400-500 და 700 კილოგრამსაც კი იწონის.

ჩვენში კუს 5 სახეობაა: შორეულაღმოსავლური რბილი, კასპიისა, ჭაობისა, ველისა და ბერძნული.

პირველი სამი სახეობა წყალში ცხოვრობს, თევზითა და სხვა წვრილწვრილი ცხოველებით იკვებება; ზამთრობით ლაქაშებში ეფლობა და იძინებს. ველისა და ბერძნული კუ ხმელეთზე ცხოვრობს, საკვებად სალათას, კომბოსტოს, სტაფილოს, ვაშლს, ნორჩ ფოთლებს ეტანება.

თბილ ამინდებში ისინი შეიძლება ბაღში ვიყოლიოთ. ზამთრობით — სარდაფში ან საკუჭნაოში.

მრავალი ხალხის ლეგენდებსა და ზღაპრებში კუ კეთილი ბუნების არსებაა.

ბურატინოს მეგობარი ტორტილა ჭკვიანი და წინდახედულია. სინამდვილეში კი საწყალი კუ გონიერებას ვერ დაიკვეხნის, წონა დიდი აქვს, მისი ტვინი კი სულ რაღაც 4 გრამს იწონის.

კუ უწყინარი ცხოველია და ღირს მასთან მეგობრობა.

# სკოლაში და სკოლის გარეთ

პოეტ არნო ონელს 70 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღისათვის მწერალმა კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი თავის ლექსებს, ამოარჩია მათგან თქვენს მიერ ყველაზე უფრო მოწონებული, ზოგიც ახალი დაუმატა, ამ ლამაზყდიან წიგნად შეკონა და საჩუქრად მოგიძღვნათ.

პატივცემულ პოეტისათვის თქვენი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი კი ის იქნება, თუ ხალისით გადაიკითხავთ ამ ლექსებს, დაუჯერებთ დარიგებას, გულში ჩაიდებთ მის კეთილ სიტყვას და ივლით იმ გზით, ,,გზა, რომელიც ბრწყინავს მარად... სიყვარულის, ცოდნის, სიბრძნის საძებნელად, და საპოვნელად"...

ვბეჭდავთ ერთ ლექსს ამ კრებულიდან.




## ახალი წელი მოვიდა

ახალი წელი მოვიდა
თეთრი ფიფქების
თოვითა.
მოვიდა, ფანდურს
ჩამოჰკრა,
შაირები თქვა ულევი,
ნაძვის ხეს ნაირ-ნაირი
დაჰკიდა სამკაულები.
და მოფერებით,
გულთბილად
აი, რა გვითხრა
პატარებს:
— მეც იმას ვუმღერ,
ვინც გულით
წიგნის სიყვარულს
ატარებს!
ახალი წელი მოვიდა
სავსე ჯანით
და ღონითა.
გაგვიღიმა
და გულთბილად
ასე მოგვმართა
პატარებს:
— მეც იმასთან ვარ,
ვინც მუდამ
მეჯითის სახელს
ატარებს!

---

# არიფანა

ჩვენმა დიდმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ თავისი ბავშვობა მშობლიურ სოფელ პატარძეულში გაატარა.

სოფელმა შეაყვარა სიცოცხლე, სოფელმა აუნთო გული სამშობლოს სასიყვარულოდ, სოფელმა აზიარა პირველად მიწისა და ლექსის ძალა-იდუმალებას...

პოეტს მთელი სიცოცხლე გულზე ეხატა მშობლიური სოფლის ატეხილი ჭალები, მისი ოქროს ყანები... წისქვილისკენ მიმავალი აღმა-დაღმა ბილიკები... ანკარა წყაროს ლიკლიკი... ღობის ძირებში ამოფეთქილი ლურჯთვალა იის ბუჩქები... თავისი თანასოფლელების ძვირფასი სახეები თუ მოლაღურის შეძახილი: ,,ბიჭო გოგია!"

ეს პატარა წიგნი სწორედ იმ ძვირფას დღეებზე მოგვითხრობს, როცა პატარა გოგლა თავდავიწყებით დარბოდა სოფლის მტვრიან ორღობეებში, ხალისით კრეფდა თანატოლებთან ერთად შეღვიებულ მარწყვს, როცა გადაშლილი წიგნით ხელში მეხრედ ედგა გუთანს და თავისუფალ დროს თავდავიწყებით თამაშობდა ტოლ-მეგობრებში. ამ წიგნის ყოველი ფურცელი სიკეთით არის სავსე. ეს პატარ-პატარა ბიოგრაფიული მოთხრობები თვალწინ გიცოცხლებთ პოეტის ნათელ ბავშვობას და უფრო მეტად გაყვარებთ შრომას, წიგნსა და სამშობლოს...




# ჩემო შვინდავ

ეს მოთხრობა 1892 წელს დაწერა ცნობილმა ქართველმა მწერალმა შიო არაგვისპირელმა. ამ პატარა მოთხრობას სასოებით კითხულობდნენ თქვენი პაპები, მამები. აგერ უკვე ამდენი დრო გავიდა, მაგრამ ბიჭუნა სოსოს და შვინდა ხარის პატარა ამბავი დღესაც მოსწონთ და აღელვებთ მის თანატოლებს. ალბათ თითოეული თქვენგანი ამ მოთხრობას სულმოუთქმელად წაიკითხავს ბოლომდე. და განა მარტო წაიკითხავს, უთუოდ მიჰბაძავს კიდეც სოსოს მუყაითობასა და შრომის სიყვარულში.

გულადი ბიჭიც არის სოსო... ცისქვეშ შემოღამება სულაც არ აშინებს და ჩამობნელებულ ჭალაში სეტყვასა და ჭექა-ქუხილში თავდავიწყებით გასძახის თავის ხარს: ,,შვინდავ, ფშვიე...ე... ე... ჩემო შვინდავ!"...

წიგნს ამშვენებს მხატვარ იური ქლიბაძის ნახატები. აბა, დახედეთ ხვნის სურათს, თითქოს მართლა მოაბიჯებს კვალში გუთნეული და კიდეც გესმით უღელზე შემომჯდარი მეხრე სოსოს ,,ოროველას" წკრიალი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი წრეში

3 მ დიამეტრის მქონე წრის ცენტრში დადეთ კალათბურთის ბურთი. თამაშობს ორი გუნდი, თითოეულში — 4 ბავშვი. ერთი გუნდის მოთამაშე დგება წრის ცენტრში დადებულ ბურთზე და მკლავებისაგან შემორკალულ წრეში იჭერს პარტნიორის ნასროლ ბურთს.

მოწინააღმდეგის მოთამაშენი ცდილობენ არ დაუშვან გოლის გატანა, ცდილობენ ნატყორცნი ბურთის დაჭერას. ბურთის ჩაგდებისა და დაცვის წესები ისეთივეა, როგორც კალათბურთის თამაშისას. გოლი თუ ჩაითვალა, გუნდები ადგილს იცვლიან. თვლა ხუთამდეა.



## მხედრები

თამაშობს 8-10 ბავშვი. იყოფიან ორ-ორად. ერთი — ცხენია, მეორე — მხედარი.

5 მ დიამეტრის მქონე წრე შემოხაზეთ. ამ წრის შიგნით კიდევ ერთი, 1 მ დიამეტრის მქონე წრე ჩახაზეთ. ამ წრის შემოწერილობაზე დადეთ ორი ბურთი და ერთი ცხვირსახოცი. თქვენ კი, თითოეული ცხენი თავის მხედრიანად დიდ წრეხაზზე განლაგდით.

მსაჯის პირველ ნიშანზე მხედრები ცხენიდან ჩამოხტებიან და დიდი წრიდან გამოდიან. ცხენები კი იწყებენ სირბილს ამ წრის ხაზზე. მსაჯის მეორე ნიშანზე ყველა მხედარმა სასწრაფოდ უნდა მოძებნოს თავისი ცხენი, შეჯდეს ზედ, მიიჭრას პატარა წრესთან და აიღოს ერთ-ერთი ბურთი ან ცხვირსახოცი. იმარჯვებს ის წყვილი, რომელიც ამის გაკეთებას სხვებზე სწრაფად მოახერხებს.






თამაშის დაწყებამდე გამოთალეთ რამდენიმე ჩილიკა 20-30 სმ სიმაღლისა, ისეთი ფორმის, როგორიც ნახატზეა ნაჩვენები. ჩილიკების ნახევარი შეღებეთ თეთრად, ნახევარი შავად. შემოხაზეთ 5-7 მ დიამეტრის მქონე წრე. წრეხაზიდან 1 მ მოშორებით დადგით ჩილიკები ოთხ ჯგუფად ისე, რომ ყოველ ჯგუფში შავი ჩილიკაც იყოს და თეთრიც.

თამაშობს ორი გუნდი: „თეთრები“ და „შავები“, თითოეულში 4-5 ბავშვი. მოთამაშეები წრის გარეთ დგებიან და რიგრიგობით ჩოგბურთის ბურთით ცდილობენ თავიანთი ჩილიკების წაქცევას, ამასთან მოწინააღმდეგის ჩილიკას არ უნდა შეეხონ თუ მოთამაშემ სხვისი ჩილიკა წააქცია, ბურთი მოწინააღმდეგეს გადაეცემა. თამაში დამთავრებულად მაშინ ითვლება, როცა ერთ-ერთი გუნდი თავის ყველა ჩილიკას წააქცევს.



## ბაგირი

ერთმანეთისაგან 2 მეტრის მოშორებით დაამაგრეთ ორი ალამი: თეთრი და წითელი. თოკზე გამოაბით ცხვირსახოცი. ორი გუნდი ხელს ჩაკიდებს თოკის ბოლოებს და ისე გაჭიმავს, რომ ცხვირსახოცი ალმებს შუა მოექცეს. მსაჯის სასტვენის ხმაზე — გუნდები თოკს გაქაჩავენ და თითოეული გუნდი ცდილობს ცხვირსახოცი მოწინააღმდეგის ალამს მოახვედროს.



# გამოგადგება

მომინანქრებული გაზის ღუმელის ან სხვა ამგვარი ლითონის ელექტრობურღით გაბურღვისას, ბურღს ფეტრის რგოლი წამოაცვი, თორემ ბურღი შეიძლება უცებ გაძვრეს ფურცელში და მინანქარი დააზიანოს. ასეკი ფეტრი მომინანქრებულ ზედაპირს დაიცავს.

მღებავის ფუნჯი ხმარებისას იცვცხვება — ჯაგარი სძვრება. ნუ გადააგდებ ასეთ ფუნჯს. ლითონის სალტეში ნახვრეტი გაუკეთე, შიგ რამდენიმე წვეთი წებო ჩააწვეთე და ფუნჯი ისევ კარგა ხანს გემსახურება.

მოტოციკლეტის აკუმულატორი პოლიეთილენის სქელ ტომსიკაში მოათავსე. არც ტანსაცმელი დაგესვრება და არც მოტოციკლის ქრომირებული ნაწილები დაიჟანგება მჟავათი.

გუტალინიანი ქილა თუ გაჭიუტდა და თავსახური არ მოეხსნა, იგი ცერზე შეაყენე, ზედ ფეხი დაადგი, გააგორ-გამოაგორე და თავსახური იმწამსვე მოძვრება.

თუ გსურს ბაწარი სწორად ათოკო, დააკვირდი ამ ნახატს.

თუ გინდა ბურღს კბილი იოლად არ გაუცვდეს და დიდხანს გაძლოს, ბეტონის ან აგურის გაბურღვისას გასაბურღავი ადგილი ხშირ-ხშირად დანამე წყლით.

ქილაში საღებავი რომ გასქელდება, ხელით ვერასგზით ვერ მოურევ, ქილის ხუფი გახვრიტე, შიგ თავმოკაუჭებული ჩანგალი გაუყარე, ჩანგალი ბოლოთი დრელს მიამაგრე. საკმარისია დრელმა ერთი წუთი იტრიალოს, რომ საღებავი კარგად გაითქვიფოს.














# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


საახალწლო მილოცვა . . . . . . . . . . 1 გვ.
პ. თედეევი — საბჭოთა სამხრეთ ოსეთი . . . . . . . 2
მ. სეტიელი — ქსუისელთა ბარაქიანი შემოდგომა (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . 5
ა. ფუხათი — მშობლიურ მთებს (ლექსი თარგმანი ტ. ლომიძისა) . . . . . . . . . . . . 8
გ. ძუგათი — მეგობრები (მოთხრობა თარგმანი ს. ბეჩოელისა) . . . . . . . . . . . . . 9
ბ. ბესთაუთი — ალანური ბალადა (თარგმანი გ. ძნელაძისა) . 13
მოსწავლეთა შემოქმედება . . . . . . . . 14
გ. თედეევი — „ცხრაძმულას ხევისბერი“ და მისი ვაჟკაცები (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . 16
ზ. ხოსთიყოთი — ჰალარა (ლექსი. თარგმანი ნ. კილასონიასი) 18
ა. ჟიჟათი — მოხუცი და ვიოლინო (მოთხრობა. თარგმანი მ. ხერგიანისა) . . . . . . . . . . . . . 18
ო. იოსელიანი — კვიცი და მგელი (მოთხრობა) . . . . 21
ო. რომანჩენკო „ამხანაგი თავადი“ (წერილი) . . . . . 25
ტ. მებურიშვილი — ახალი ლექსები . . . . . . . . 27
ლ. გახარია — ზამთრის ზღაპარი (ლექსი) . . . . . . 27
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . . . . 28
ბუნების კარი . . . . . . . . . . . . 29
ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . 30
თამაშობები . . . . . . . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . . . . . 3



გარეკანის 1-ლ გვერდზე ნახატი ოთარ ჩხარტიშვილისა.



მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).



ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/XI-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XII-70 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 3484. ტირ. 123.800. უე 02259.

ფასი 20 კაპიკი





რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ- რ ა დ: 2. კოშკის ან კედლის საათი, რომელიც დროგამოშვებით რეკავს, ან ასრულებს რაიმე მელოდიას; 5. უდედმამო ანუ? 6. მთა თრიალეთის ქედზე; 8. საბჭოთა მოჭადრაკე; 9. ნ. ლომოურის ერთ-ერთი მოთხრობა; 11. კორეული ნაციონალური საჭმელი; 12. მომღერლის პარტია, ანუ? 15. ძველი საბრძოლო იარაღის ნაწილი; 16. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი; 18. სუბტროპიკული მცენარე; 19. ცირკის გამოჩენილი მსახიობი; 20. მტაცებელი ცხოველი; 22. ყიამყრალი ადამიანი, ანუ? 23. ცელქი, ონავარი, ანუ?; 25. გამოჩენილი ქართველი მწერლის სახელი; 26. ქალის სახელი; 28. მხატვრული ფილმის „თოვლის დედოფლის“ ერთ-ერთი გმირი; 29. ბალახის ჯიში; 30. ქალაქი საფრანგეთში; 31. პატარა შუშა, ჭურჭელი ნელსაცხებლისათვის.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. ხერხემლის ძვალი; 3. მდინარე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში; 4. ტბა აფრიკაში; 5. მტაცებელი ფრინველი; 7. ადმინისტრაციულ შენობაზე გაკრული წარწერა; 8. წყლის ტრანსპორტი; 10. მდინარე პაკისტანში; 13. სპორტული იარაღი; 14. ლენინური გაზეთი; 15. სალებავი; 17. ქალის სახელი; 21. ვერტიკალური ბოძი, ანუ? 22. სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში; 24. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 25. შინაური ფრინველი; 27. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 28. სახელმწიფო აფრიკაში; 32. ლითონი.

ქეთინო თურმანიძე,
საჩხერის ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლე.



### სახუმარო გამოცანა

მდინარეს ორი მგზავრი მიადგა. ნაპირთან ერთადგილიანი ნავი იდგა. ახლომახლო არ იყო არცერთი ადამიანი. არც სხვა ნავი იყო და არც ტივი... მაგრამ ორივე მგზავრი გაღმა ამ ნავით გავიდა. როგორ მოახერხეს ეს?

### შ ა რ ა დ ა

ისე დამთავრდა მატჩი,
გამარჯვებული არ ჩანს.
ჰოდა, იმ შედეგს გარდა
ფუტკრის სახლიღა დარჩა.
ორივე მიყოლებით
უნდა შეკრიბო ახლა, —
იმ ხელოვნების ნიმუშს
ტაძრის კედელზე ნახავ.

შ. ამირანაშვილი

### მოძებნეთ უმოკლესი გზა

შენ დგახარ ა-წერტილთან და უმოკლესი გზით გსურს სატელეფონო ჯიხურ ბ-სთან მისვლა. ქვაფენილზე, როგორც გინდა ისე შეგიძლია იარო, ქუჩის გადაკვეთის უფლება კი მხოლოდ ქუჩის ღერძის პერპენ დ ი კ უ ლ ა რ უ ლ ა დ გაქვს. მოძებნე უმოკლესი გზა ა-წერტილიდან ბ-წერტილამდე.



### გ ა მ ო ს ც ა დ ე თ ე რ თ მ ა ნ ე თ ი

1. ორი კუნძული ერთ ზღვაში მდებარეობს და სხვადასხვა კონტინენტს ეკუთვნის. რომლებია, სად მდებარეობს ეს კუნძულები და რომელ კონტინენტებს ეკუთვნის?

2. რომელ კონტინენტზე არ არის მდინარეები და ტბები?

3. ევროპის მდინარეთა რომელ თევზს შეიძლება ვუწოდოთ მარათონელი და რატომ?

თქვენ, ცხადია, იცით სად მდებარეობს თეთრი ზღვა. მაგრამ, აბა, რომელმა თქვენგანმა იცის რამდენია და სად არის „თეთრი ტბა“ და „თეთრი მდინარე“?

### პ ა ს უ ხ ი № 1 2-შ ი მ ო თ ა ვ ს ე ბ უ ლ „ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ზ ე“

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ- რ ა დ: 1. კიტრი; 3. იარდი; 5. სახაზავი; 6. სიო; 7. მედიცინა; 10. პიკნიკი; 14. რკო; 17. იკაროსი; 19. მალარია; 21. ომი; 24. ექო.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. კანტი; 2. ისარი; 4. კვადრატი; 6. საგა; 8. ოქრო; 9. არმავირი; 11. პერსონა; 12. იაგუარი; 14. რალი; 15. ოდრა; 16. ინგლისი; 18. ნიგერია; 20. ლელო; 22. დონი; 23. ალოე; 25. ტრიო.

პასუხი შარადაზე
პეპელა.

ИНДЕКС 76157







ჩვევა



ნახატები მუგუზალისა

